# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | შაბათი, 14 დეკემბერი 1996 №133 (358) | ფასი 40 თეთრი



## ხალხმა რონალდო ირჩია

**ბრაზილიელი რონალდო „უორლდ სოკერის“ მკითხველებმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მეორე ადგილზე გავიდა ალან შირერი, მესამეზე — ჟორჟ ვეა. მწვრთნელთაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს ბერტი ფოგტსი, ნიგერიის ნაკრები კი მსოფლიოს საუკეთესო გუნდად აღიარეს.**

გუშინწინ ლიბანიდან თბილისს დაბრუნდა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები, ბეირუთში ორი ამხანაგური შეხვედრა რომ წააგო. ცხადია, ფეხბურთის ფედერაციაში აზრადაც არავის მოსვლია პრეს-კონფერენციის გუშინ გამართვა და ამ მატჩებზე ორიოდ სიტყვის თქმა. ეს არც დღესაა მოსალოდნელი და არც ხვალ. ალბათ, არც ზეგ. არადა, საკითხავი ბევრია. თუნდაც ის, რა სტატუსით ითამაშა ბეირუთში არამარტო ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა და მართალნი ხომ არ არიან ის უცხოური სააგენტოები, ეს თამაშები ეროვნული გუნდების მატჩებად რომ მონათლეს. როგორც ფედერაციის თანამშრომლები ამტკიცებენ, ეს არ შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ჩვენ მწარედ გვახსოვს 1993 წელი, როცა აზერბაიჯანში გამგზავრებული „კლუბების ნაკრები“ მერე უცბად ეროვნულ გუნდად მოინათლა და სამარცხვინო წაგება ოფიციალურად გაიფორმა. შეიძლება, ამ კითხვაზე პასუხი ჩვენში ვერავინ გაგვცეს (ასეთ „უმნიშვნელო დეტალებს“ ყურადღებას არ აქცევენ) და ჩვენც ფიფას რეიტინგის მორიგი ვარიანტის გამოქვეყნებამდე ვერაფერი გავიგოთ. იმ რეიტინგში კი ყველა, მათ შორის ამხანაგური მატჩების შედეგებსაც ითვალისწინებენ და სწორედ იმ რეიტინგის მიხედვით ხდება „კალათებში“ განაწილება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირების წილისყრისას...

მოკლედ, ვნახოთ. ახლა კი, სხვა რაღა დაგვრჩენია, ერთ-ერთ მოთამაშეს დავეკითხოთ ლიბანური მატჩების თაობაზე.

## გიორგი კიკნაძე: ასეთი საშინელება ჯერ არ მინახავს

გიორგი კიკნაძეს რომ შევხვდი, პირველი, რაც მითხრა, ეს იყო: იქაურ ნაკრებთან წაგება მხოლოდ და მხოლოდ გაუგონარი, არაობიექტური მსაჯობის ბრალი იყოო. პირველი კითხვაც ამან დაბადა.

**— კი მაგრამ, რა გინდ არაობიექტური ყოფილიყო მსაჯობა, ლიბანის ნაკრებთან ორჯერ წაგება იქნებოდა?**

— მართალია, ყველაფერს მსაჯობას ვერ დავაბრალებ, მაგრამ ფაქტია, არბიტრთა მიკერძოებამ ძალზე დიდი, ვიტყოდი, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენს მარცხში. იქ ისეთი ვითარება იყო, ჩვენ არ მოგვაგებინებდნენ.

**— 2:0-ის შემდეგ ისეთი რა უნდა ექნათ, ოთხი გოლი რომ გაგეშვათ? ბოლოს და ბოლოს, გოლები მსაჯმა ხომ არ გაიტანა?**

— პირველი გოლი სწორედ რომ მსაჯის სინდისზეა. ასლანაძეს ბურთი ხელში ეჭირა, ხაზთან იდგა, კარში არ შესულა ბურთიანად, მსაჯმა კი ჩვენდა გასაოცრად გოლი ჩათვალა! ასეთი საშინელი მსაჯობა ჯერ არ მინახავს!

**— ოთხივე ბურთი ასე გაგიტანეს?**

— არა, ოთხივე ასე არ გაუტანიათ, მაგრამ უამრავი თამაშგარე „გაგვიტარეს“, ჯარიმებზე აღარაფერს ვამბობ. ხალხს ვერ დავაჯერებთ, რომ ამდენი წაგების შემდეგ თავს არ ვიმართლებთ, მაგრამ არ მეგონა, ასე თუ შეიძლებოდა სინდისზე ხელის აღება. მსაჯის მოქმედების გამო ცხელ გულზე მოედნის დატოვებასაც ვაპირებდით, მაგრამ ემოციების აყოლა არას გვარგებდა. მეორე თამაშის წინ ახალკაცმა მოითხოვა, რომ მსაჯობა ობიექტური ყოფილიყო. მაგრამ არც ამ მოთხოვნას ათხოვეს ყური. კვლავ ჩვენ გავხსენით ანგარიში, გახოკიძემ პენალტი გაიტანა, მაგრამ მსაჯი იქ არ იყო?! ისეთი პენალტი დანიშნა ჩვენს კარში, წარმოდგენაც არ შეიძლება. მივხვდით, მოგების საშუალებას არ მოგვცემდნენ. მსაჯმა პირველ ტაიმში შვიდი ყვითელი ამოგვიღო. ამით ლიბანელებს აზღვევდა, ჩვენ რომ კარგად გვეთამაშა, ამ შვიდიდან რომელიმეს გაგვიგდებდა, ისევე, როგორც პირველ თამაშში კალაძეს გაუკეთეს. იქ სომხებს დიდი დიასპორა ჰყავთ, ბევრმა მათგანმა რუსული იცოდა და შეხვედრების წინ გვითხრეს, თამაშს არ მოგაგებინებენო. ლიბანის ჩემპიონატში ისეთი ამბები ხდება, ამას შეჩვეულები წინასწარ ვხვდებით, რა დღეში ჩაგაგდებენო. მაგრამ, რაც ვნახეთ, ვიმეორებ, ამის წარმოდგენა, თუნდაც წინასწარ გაფრთხილების შემდეგაც კი, ძალიან ძნელი იყო. ვიცი, ამდენი წაგების შემდეგ ყველა იმას იტყვის, წაგებას მსაჯებს აბრალებენო. დამიჯერეთ, ასე არ არის. უნდა გენახათ, რა კარგად ავგეწყო თამაში, ვიფიქრეთ, ეგ არის, როგორც იქნა, მოვიგებთ, მაგრამ... კარგად რომ ვითამაშეთ პირველი მატჩი, სწორედ ამიტომ მოვიდა მეორეზე გაცილებით მეტი მაყურებელი. სტადიონი გაივსო.

**— იმით, გასაგებია, მსაჯი არარსებულ გოლებს უთვლიდა, მაგრამ თქვენ ორზე მეტი საგოლე მომენტი ვერ შექმენით ან პირველ ან მეორე მატჩში?**

— მომენტებიც გვქონდა, კარგადაც ვითამაშეთ, მაგრამ შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. არაობიექტურმა მსაჯობამ ფსიქოლოგიურად წაგვახდინა, მეორე თამაშის წინ ვიცოდით, რომ წაგებისთვის ვიყავით განწირული და ამან, ცხადია, ცუდი სამსახური გაგვიწია.

**მერაბ მამულაშვილი**

**ლიბანი 4:2 საქართველო**

ასლანაძე, კალაძე, ცქიტიშვილი, ზ. ჯელაძე, შ. ხუჯაძე (დიდავა), გახოკიძე, კიკნაძე, კობიაშვილი, გ. დარასელია, ფოცხვერია (აშვეთია), იაშვილი (დემეტრაძე)

**ლიბანი 3:2 საქართველო**

ტოგონიძე, კალაძე, ცქიტიშვილი (ზ. ჯელაძე), დიდავა, შ. ხუჯაძე, გახოკიძე, კიკნაძე, კობიაშვილი, გ. დარასელია, ფოცხვერია (აშვეთია), იაშვილი (დემეტრაძე)

# ბაგრატიონი ოლიმპიურ ტახტზე





ბადრი [illegible] ფოტოები

თამამად შემიძლია ვთქვა: გუშინ რუსთაველის თეატრში გამართული საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სესია ღირსშესანიშნავი თარიღია ქართული სპორტის ისტორიაში. როცა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იცვლება, მშრალად და ორიოდ სიტყვით, აბა, როგორ შემოვიფარგლოთ, ამიტომაც თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს. ალბათ ბევრს არ აინტერესებს, მაინც ვიტყვი: სესიას მიწვეული 306-დან 282 დელეგატი დაესწრო. აქედან, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა წარმომადგენლებს 2-2 დელეგატი ჰყავდათ, არაოლიმპიური სახეობებიდან, სპორტსაზოგადოებებიდან და რეგიონული ოლიმპიური კომიტეტებიდან — თითო-თითო. ამასთან, სხვა, მიწვეული დელეგატებიც ესწრებოდნენ სესიას. ნონა გაფრინდაშვილმა სწორედ ეს მონაცემები გაგვაცნო და სესიაც გაიხსნა.

ქალბატონმა პრეზიდენტმა მოკლედ, ლაკონურად ისაუბრა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოღვაწეობისა და ლვაწლის შესახებ, დადებითად შეაფასა სეოკ-ის ოთხწლიანი საქმიანობა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლა უარყოფითად შეფასდა. როგორ? ალბათ დაინტერესდება მკითხველი. განვუმარტავ: ოლიმპიური კომიტეტის მოვალეობა სულაც არ არის ოლიმპიელ სპორტსმენთა შედეგებზე პასუხისგება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტიის თანახმად, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უმთავრესი მოვალეობა გახლავთ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთობა, სხვა მნიშვნელოვანი საქმეები. ქალბატონმა ნონამაც კიდევ ერთხელ შეახსენა სპორტულ ფედერაციებს, რომ უშუალოდ სპორტული ასპარეზობისთვის სპორტსმენთა მომზადება ოლიმპიური კომიტეტის საქმე არ არის. ეს, უშუალოდ, ფედერაციების საზრუნავია. პრეზიდენტი მრავალ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს შეეხო, მაგრამ, ალბათ, არ გამემტყუნება, თუ ქალბატონ ნონას გამოსვლისას ერთი ეპიზოდი მეტად დამამახსოვრდა, რა დასამალია, მესიამოვნა კიდეც: ჩვენს ამქარს — სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას „ავტორიტეტული და სოლიდური“ უწოდა. სპორტის ფუნქციონერისგან, როცა ბოლო ხანს სპორტული ჟურნალისტები მათგან გინების, გალანძღვის მეტს არას ვღირსებივართ, ეს სიტყვები, დამეთანხმებით, დიდსულოვნებაა.

შემდეგ სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა გადაილოცა სიტყვა. მანაც ბევრი ილაპარაკა ქართული სპორტის ავ-კარგზე, კონკრეტულად, სეოკ-ის გარჯაზე და, რასაკვირველია, დადებითად შეაფასა ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობა.

პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ სიტყვა, როგორც წესია, სხვა გამომსვლელებს მიეცათ. ვინც გამოვიდა, ძირითადად საკუთარ პრობლემებზე ისაუბრა. ნუ მიწყენენ სესიის მონაწილენი, მითუმეტეს, სიტყვით გამოსულნი, და მხოლოდ ორი მომხსენებლის სიტყვას ჩავთვლი ყურადღების ღირსად. ქვეყნის პარლამენტის წევრი, სპორტის არაერთი სახეობის სპონსორი ავთანდილ საყვარელიძე ერთადერთი იყო, რომელმაც მოითხოვა, არადამაკმაყოფილებლად შეეფასებინათ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მოღვაწეობა. ეს იყო ერთადერთი დისონანსი ერთსულოვან დელეგატთა შორის, რამაც, რასაკვირველია, ვერ აიყოლია დელეგატები. საყვარელიძის არაორდინალური ნაბიჯი, იქნებ მართლაც ლოგიკური იყო. ბოლოს და ბოლოს, განსხვავებული აზრი აუცილებელია ერთ აზრზე მყოფი დარბაზისთვის.

...სესიის დაწყებამდე თითქმის ყველამ ვიცოდით, რომ სეოკ-ის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი საკუთარი სურვილით აპირებდა პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას. ასევე ვუწყოდით, რომ სეოკ-ის მომავალი თავკაცი ჯანო ბაგრატიონი უნდა ყოფილიყო. დიახ, ეს კი ვიცოდით, მაგრამ ხმამაღლა ამის აღიარებას არავინ აპირებდა — არც დელეგატები, არც სტუმრები. მაგრამ ატლანტის ოლიმპიადის პრიზიორმა ელდარ კურტანიძემ ვერ მოითმინა და „ჩაუშვა“ სეოკ-ის მომავალი პრეზიდენტი: ბატონ ჯანოს დიდ პატივს ვცემთ, ბატონო ჯანო, თქვენ ისაქმეთ და ჩვენც მხარში ამოგიდგებითო. „ყველასთვის ცნობილი საიდუმლოს“ გახმაურებამ დარბაზი გაამხიარულა, მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატიც — დიახ, ჯანო ბაგრატიონი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო. ამიტომაც იგი ერთხმად აირჩიეს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად. არჩევისთანავე ახალ პრეზიდენტს ძველი თანამოსაქმენი გარს შემოეცალნენ და პრეზიდიუმში კარგა ხანს მარტო იჯდა, ვიდრე ახალი თანამოაზრენი და თანამოსაქმენი არ დაასახელა: ვიცე-პრეზიდენტები — ცნობილი სპორტსმენები თამაზ იმნაიშვილი და რუსუდან სიხარულიძე, თბილისის ბიზნეს-ცენტრის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე. ბატონმა თამაზმა და ქალბატონმა რუსუდანმა მყისეულად დაუმშვენეს მხარი ახალ არჩეულ პრეზიდენტს, ეგ იყო მამუკა ხაზარაძე არ ჩანდა არსად. ჩვენში ერთ-ერთი სერიოზული ბიზნესმენი თურმე ქვეყნის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა და ამიტომაც ბაგრატიონის მხარმარცხნივ სავარძელი თავისუფალი დარჩა. ვიცე-პრეზიდენტების არჩევას სეოკ-ის გენერალური მდივნის არჩევა მოჰყვა — აქაც, პრეზიდენტისა არ იყოს, ერთადერთი კანდიდატურა იყო — ემზარ ზენაიშვილი. სესიის ყველა ხმოსანმა ერთხმად ასწია მწვანე ბიულეტენი — ზენაიშვილი კვლავ სეოკ-ის გენერალური მდივანია. როგორც ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა მითხრა, თუ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი არსებობს, აქვს სახელი და დაფასება საქართველოს გარეთ, ეს უპირველესად სწორედ ზენაიშვილის დაუღრომელი ხასიათის წყალობით, მისი ნიჭითა და გაქანებით. „ერთადერთი, განუმეორებელი ემზარი“ — ასე დაახასიათა გაფრინდაშვილმა მეორედ გაგენერალურმდივნებული ემზარ ზენაიშვილი.

ეს, ასე ვთქვათ, სესიის ოფიციალური მხარე იყო. ამის შემდეგ სეოკ-ის აღმასკომის წევრები და ქართული სპორტის ბოსები რუსთაველის თეატრის დირექტორის კაბინეტში შეიკრიბნენ. ჟურნალისტებმა აქაც შევაღწიეთ ემზარ ზენაიშვილის დახმარებით. სახელდახელო სუფრაზე ახალ პრეზიდენტს ახალ საქმეში წინსვლა ვუსურვეთ, ჭიქა შამპანურით დავლოცეთ და, ქართული ხასიათისა მოგეხსენებათ, ორი ჭიქის შემდეგ საუბარიც გულღია გაიმართა. თავისუფალი სადღეგრძელოებიც ითქვა. მიუხედავად არასაქმიანი და მხიარული განწყობილებისა, აქაც ითქვა რამდენიმე საქმიანი და სერიოზული სიტყვა. ბატონმა ჯანომ ჩვეული პათოსით აღნიშნა, რომ ნონა გაფრინდაშვილის დაწყებულ გზას გააგრძელებს, თუ სასიკეთოს რაიმეს შემატებს, ბედნიერი იქნება. იმედია, ბატონი ჯანო ცოტას არ იკმარებს — ბაგრატიონს სხვაგვარად არც ეკადრება. ერთიც, ბატონი ჯანო ამავდროულად სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეც გახლავთ. როგორც ელგუჯა ბერიშვილმა შეახსენა ბატონ ჯანოს, ბაგრატოვანთა სამეფო ტრადიცია არ არის ჩვეული ორ ტახტზე ჯდომას. ჭეშმარიტად: ორი კურდღლის მდევარი ყოველთვის ხელმოცარული რჩება. ამ ხალხურ სიბრძნეს ალბათ ჯანო ბაგრატიონიც გაითვალისწინებს, თუმცა, როგორც თავად ბრძანა, ეს არა მარტო მისი გადასაწყვეტია — სპორტის დეპარტამენტის კოლეგია და სეოკ-ის აღმასკომი გამოუტანენ მას „საბოლოო განაჩენს“.

ღმერთმა ქნას, ახლებს წარმატებით ეკეთებინოს ის საქმე, რაც ძველებმა ვერ შეძლეს. რაც მთავარია, სიდნეისკენ ქართველ სპორტსმენთა ლაშქარს ბაგრატიონი გაუძღვება.

ქალბატონ ნონას ღვაწლის დაფასებისთვის კი ამის აღნიშვნაც კმარა: სეოკ-ის თანამშრომლები ტიროდნენ, არ ემეტებოდათ შეგუებელი პრეზიდენტი გასაშვებად.

**ლევან ჯავახიშვილი**

# ზირაქიშვილმა კონტრაქტი გააფორმა

ეს რომ უნდა მომხდარიყო, „სარბიელმა“ უკვე გაუწყათ. პორტუგალიის პატარა ქალაქ ფაროს „ფარენსემ“ ზაზა ზირაქიშვილი კონტრაქტით დაიტოვა. წინა საუბრისას ზაზა შეგვპირდა, როგორც კი კონტრაქტს ხელს მოვაწერ, უმალ შეგეხმიანებითო. გუშინ, 11 დეკემბერს შეპირებული ზარის ხმაც გაისმა.

— დღეს ხელშეკრულება ნოტარიუსში გავაფორმეთ და ახლა პორტუგალიელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ტრანსფერზე თანხმობას ელიან. ფაქსი უკვე გააგზავნეს და პასუხიც, ალბათ, არ დააყოვნებს. თუმცა, ეს უკვე ფორმალური მხარეა და შემიძლია ვთქვა, რომ უკვე „ფარენსეს“ წევრი ვარ. ბუნებრივია, ვიდრე თბილისიდან თანხმობა არ მოვა, მანამდე ვერ ვითამაშებ. ახლა გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ჩემი პირველი თამაშისთვის ვემზადები.

**— შენი წასვლა ჩვენი ნაკრებებისა და „დინამოს“ „ბოავიშტასთან“ წაგებებს დაემთხვა. ამის გამო საქართველოდან ჩასულს ეჭვით ხომ არ გიყურებდნენ?**

— რაღა დავმალო და, ასეც იყო. „ფარენსეს“ მწვრთნელმა იცოდა, რომ იმ ქვეყნიდან ვიყავი, რომლის ჩემპიონიც მათთვის კარგად ნაცნობ „ბოავიშტასთან“ 0:5 განადგურდა. ისაც იცოდნენ, რომ მე საქართველოს მოწინავე გუნდშიც კი არ ვთამაშობდი. თანაც, „დინამოსთან“ შეხვედრამდე „ფარენსემ“ „ბოავიშტას“ 2:0 მოუგო. მოკლედ, ამგვარი არასასურველი „იმიჯით“ ჩავედი პორტუგალიაში. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა და ყოველგვარი საკონტროლო შეხვედრებისა და ხანგრძლივი გასინჯვების გარეშე კონტრაქტი გამიფორმეს.

**— რამდენწლიანია კონტრაქტი?**

— ჯერ მხოლოდ ექვსთვიანი.

**— ჩვენი პირველი სატელეფონო საუბრისას თქვი, ორ ან სამწლიანს ვაფორმებო. შეიცვალა რამე?**

— არა, შეცვლით არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ყოველგვარი ტრაბახის გარეშე გეტყვი, პორტუგალიელებს მოვეწონე და, როგორც ვხვდები, ჩემით ხელის მოთბობაზე უარს არ იტყვიან. აქაურ ვითარებაში ცოტათი გავერკვიე და მივხვდი, რომ ამათ სჩვევიათ ღარიბი ქვეყნებიდან ძალზე იაფად მოთამაშეთა ყიდვა და შემდეგ მათი გაცილებით ძვირად გაყიდვა. მეც ასე მიპირებენ. მითხრეს კიდეც — თუ ძალიან კარგად ითამაშებ, უკეთეს გუნდში, „სპორტინგში“ ან „ბოავიშტაში“ გაგყიდითო. თუ არადა, კიდევ ერთი წლით დავრჩები. თანაც, ნახევარი წლის შემდეგ, შესაძლოა, უკეთეს პირობებზეც შევთანხმდეთ.

**— შენი პორტუგალიაში წასვლა ვისი მეშვეობით მოხერხდა?**

— ილია კოკაიამ გასასინჯად გერმანიაში, კიოლნის „ფორტუნაში“ წამიყვანა. ჩემდა ბედად, იქ იმყოფებოდა სელექციონერი ჟოაო გომეში, რომელმაც შემნიშნა, დამაკვირდა, დამელაპარაკა და ამის შემდეგ, ჩემთვის მოულოდნელად, უმალვე პორტუგალიაში ამომაყოფინა თავი და „ფარენსეს“ მწვრთნელს უთხრა, ეს ბიჭი ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდებაო. მწვრთნელმა რომ გაიგო, ვინ ვიყავი და რომელი ქვეყნიდან, გითხარი უკვე ეჭვის თვალით დამიწყო ყურება, მაგრამ ვარჯიშებზე დამაკვირდა და კონტრაქტის გაფორმებაც შემომთავაზა.

**— რომელ პოზიციაზე გაგსინჯეს?**

— ფორვარდის ადგილზეც და უკანდახეულ თავდამსხმელადაც. მაგრამ, ალბათ, მაინც თავდასხმაში მათამაშებენ.

**— გულახდილად თქვი, გჯეროდა, „გორდას“ შემდეგ უცხოეთის გუნდში ფეხს თუ მოიკიდებდი? რაც უნდა იყოს, პორტუგალიის ჩემპიონატი ევროპაში ბევრი ქვეყნისას არ ჩამოუვარდება. შენ კი იქ წახვედი იმ გუნდიდან, სადაც ნორმალური ვარჯიშის საშუალება არ გქონდათ...**

— რა თქმა უნდა, პორტუგალიაში დარჩენის ასპროცენტიანი გარანტია ნამდვილად არ მქონდა, ეს გარანტი ისევ ჩემი თამაში უნდა ყოფილიყო. ეჭვიც მღრღნიდა, ვაითუ არ დამტოვონ-მეთქი. „ფარენსე“ გრანდია არაა, მაგრამ პორტუგალიაში რომ საქართველოდან ჩახვალ, უკან დაბრუნებაზე ფიქრიც კი გაგიჭირდება. აქ ჩვენგან განსხვავებით დიდი ფეხბურთია, პირობებს ხომ ვერც კი შეადარებ. მაგრამ, როგორც ხედავ, დავრჩი და გუნდშიც ჩავირიცხე. სიმართლე რომ ვთქვა, შვებითაც ამოვისუნთქე — ისედაც ბევრი გამიცდა. მართალია, სულ ვთამაშობდი, მაგრამ გუნდსაც ხომ გააჩნია. გაცდენით კი იმიტომ გამიცდა, რომ ნორმალურად ვერ ვემზადებოდი და ასე გავატარე სამი წელი. ეს კი ჩემი ასაკის მოთამაშისთვის ბევრს ნიშნავს. ჩემი ნათქვამი ისე არ გაიგო, თითქოს ყველაფერი საათივით მაქვს აწყობილი. მე სწორედ ახლა უნდა დავამტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში შემიძლია, ეს კი პორტუგალიის ჩემპიონატში იოლი საქმე სულაც არ გახლავთ. უნდა ნახოთ, რა ბრძოლაა აქაურ მატჩებში. ჩვენს ჩემპიონატს ნამდვილად არ ჰგავს. ფეხბურთელები ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულნი. უამისოდ მოედანს არ გაგაკარებენ.

**— მერედა, არ გაგიჭირდა? ნაკლად ხომ სწორედ სუსტ ფიზიკურ მომზადებას გითვლიდნენ?**

— თავიდან კი გამიჭირდა, მაგრამ ისეც არა, რომ მეგონა. ადამიანი ბევრ რამეს ეჩვევა. ბოლოს და ბოლოს, ვარჯიშებზე თუ არ დაიხარჯე, დატვირთვებსაც ვერ შეეჩვევი. უნდა ნახო, რა ხდება ვარჯიშებისას — ერთმანეთს არ ინდობენ, ლამის ფეხებს ამტვრევენ.

**— ამას როგორღა შეეგუე?**

— ამას კი არ უნდა შეეგუო, უბრალოდ, ისე უნდა ითამაშო, მცველი შორს მოგრჩეს და ფეხებშიც ვერ მოგწვდეს. გამუდმებით უნდა იმოძრაო. თანაც მეც ვისწავლე ფეხებში წარტყმა. აქაურ მცველებს სხვაგვარად ვერ აჯობებ. საერთოდ, პორტუგალიელები უხეშობით არიან განთქმულნი. მსგავსი აქამდე არ მინახავს.

**— დროში ხუთსაათიანმა სხვაობამ საქმე ხომ არ გაგირთულა?**

— თავიდან, ბუნებრივია, გამიჭირდა. აქ საღამოს ვარჯიშები თბილისში ჩემი ძილის დროს ემთხვევა. მაგრამ ამასაც ეჩვევი კაცი. ყოველ შემთხვევაში, ეს დიდი პრობლემა არ ყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**

## სად ითამაშებს წივწივაძე?

ხაშურის „ივერიის“ თავდამსხმელი ჰამლეტ წივწივაძე დიდი არჩევანის წინაშე დგას — მის გადაბირებას „დინამო“, „კოლხეთი“, „შევარდენი“, მერანი“ და ლატვიაში მომუშავე რევაზ ძოძუაშვილი ცდილობენ. „ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, სად გადავალ. თუმცა, გული უფრო ლატვიისკენ მიმიწევს. ძოძუაშვილი შემპირდა, „სკონტოში“ ლეგიონერების ლიმიტი კი ამოიწურა, მაგრამ რომელიმე ლიდერ გუნდში გადაყვანას გაგიხერხებო. თუმცა, აქაც ისეთი მიწვევები მაქვს, მიჭირს მათი ხელაღებით უარყოფა. ყველაფერს უახლოეს ხანში გადავწყვიტავ. იქ წავალ, სადაც უკეთესი პერსპექტივა მექნება“ — გვითხრა ჰამლეტმა.

# «კოლხეთი» საევროპოდ ემზადება

როგორც ცნობილია, ფოთის „კოლხეთი“ მეორე წრისთვის ერთბაშად ოთხი ფორვარდის დამატებას აპირებს და ერთი ნახევარმცველისაც. ამათი კანდიდატურები ფაზისელთა უფროს მწვრთნელს სოსო ფილიას უკვე შეურჩევია და საგაზაფხულოდ დიდი მიზნებიც დაუსახავს. სწორედ ამ ამბების გასარკვევად დავუკავშირდით ფოთს და „კოლხეთის“ უფროს მწვრთნელს მცირე კომენტარი ვთხოვეთ. ვრცელ წერილს გუნდის შესახებ კი „სარბიელის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში იხილავთ.

— ბიჭები 10 იანვრისთვის დავიბარე ფოთში. რამდენიმე დღეს მსუბუქად წავივარჯიშებთ და შემდეგ შეკრებაზე გავალთ. დაგეგმილი გვაქვს და აუცილებლად მოვაწყობთ ორ 12 დღიან შეკრებას უცხოეთში. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ან ბულგარეთში გავემგზავრებით, ანაც ანთალიაში. ბუნებრივია, იქ ვითამაშებთ კიდეც, მაგრამ იქაურ კლუბებთან ჯერ არ მოგვილაპარაკია. ბულგარეთში ალბათ სამ თამაშს ჩავატარებთ.

ახლა ცვლილებებზე. დათო მახარაძის, კოტე მეტრეველის, ელდარ გვასალიას და ჰამლეტ წივწივაძის საკითხი ამ დღეებში გაირკვევა, მოლაპარაკება სადაცაა დასრულდება და იმედი მაქვს, ესენი ჩვენთან ითამაშებენ. ტოლიატის „ლადადან“ დაბრუნებულ ბესო ამაშუკელთან კი, უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი.

**— უცხოეთში შეკრებას დიდი თანხა სჭირდება...**

— ხარჯთაღრიცხვა უკვე წარვუდგინე ჩვენს ერთადერთ სპონსორს — ფოთის ნავსადგურს და პირადად ვალერი გეგიძეს. ასე რომ, მათ უკვე იციან ჩვენი გეგმების შესახებ და 10 იანვარს პასუხსაც მეტყვიან. საერთოდ, გუნდის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დავალიანების 80 პროცენტი უკვე გასტუმრებულია, დანარჩენი ოცი კი 25 დეკემბრისთვის დაიფარება. დიდად შეგვეწია ვალერი გეგიძე, ქალაქის მერიას და სხვა ორგანიზაციებს კი ჩვენს დასახმარებლად თითიც არ გაუნძრევიათ. ერთი სიტყვით, რაიმეს თუ მივაღწევთ, მხოლოდ და მხოლოდ ფოთის ნავსადგურის წყალობით.

**ლევან კიპიანი**

## სიტყვა დეპუტატს

# რადიკალური ცვლილებები აუცილებელია

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები ალბათ დამეთანხმებიან, რომ ჩვენი საკლუბო და ნაკრები გუნდების შედეგები კრიტიკას ვერ უძლებს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა გამართულად ვერ მუშაობს. ქართული ფეხბურთის ჩამორჩენა ერთი მხრივ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა ვითარებამ, მაგრამ მთავარი მიზეზი უფრო შორს და ღრმად უნდა ვეძებოთ. გაიხსენეთ ოთხმოციანი წლები, როცა საკავშირო ჩემპიონატები ტარდებოდა და თბილისის „დინამოს“ საქმე ისე წაუვიდა, ძლივს გადაურჩა დაბალ ლიგაში ჩამოქვეითებას. იმ დროიდან მოყოლებული, ეროვნული ჩემპიონატების ჩათვლით, საქართველოს გუნდებს, სამწუხაროდ, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუპოვებიათ. განსაკუთრებით სავალალოა ბოლო ორი–სამი წლის მაჩვენებლები. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ფეხბურთის დაქვეითება ემთხვევა იმ ადამიანთა მოღვაწეობას, რომლებიც უკვე თხუთმეტი წელიწადია ხელმძღვანელობენ ქართულ ფეხბურთს სხვადასხვა თანამდებობებზე. უმნიშვნელო გადაადგილებები კი ხდება, მაგრამ, მოგეხსენებათ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

სწორედ ქართულ ფეხბურთში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ მაიძულა, როგორც საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს, გადამედგა შესაბამისი ნაბიჯები. კერძოდ, წინადადებით მივმართე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ემოქმედა სპორტის შესახებ კანონის მიხედვით. ამას მო- ჰყვა ყოვლად დაუსაბუთებელი და შეურაცხმყოფელი ბრალდებებით სავსე პასკვილი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის გაზეთში ამ ფედერაციის ხელმძღვანელთა და მათ თანამოაზრეთა შეკვეთით გამოქვეყნდა. ფედერაცია ცდილობს გალმა შეედავეს პრინციპით იმოქმედოს და ჩამორჩენა სხვას გადააბრალოს, არადა, მიზეზები სწორედ ფედერაციის ხელმძღვანელთა მუშაობის მანკიერ მეთოდებში უნდა ვეძებოთ. ამის თაობაზე ვრცლად ვისაუბრე ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პოზიციას: აუცილებელია რადიკალური ცვლილებები, თორემ ჩვენს ფეხბურთს დიდხანს არაფერი ეშველება. ქართული ფეხბურთის ბედით დაინტერესებულ და კრიზისით შეწუხებულ საზოგადოებას ვაცნობებ, რომ წინადადება, რომლითაც სპორტის დეპარტამენტს მივმართე, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და არც მოიხსნება, ვიდრე მდგომარეობა არ გამოსწორდება.

ჩვენს ქვეკომიტეტს ასეთი დამოკიდებულება ექნება არა მარტო ფეხბურთის, სპორტის ნებისმიერი სხვა სახეობის მიმართაც.

**მანუჩარ მაჩაიძე**

საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე

# ძმები პეტერბურგიდან მოდიან

კილასონიები მართლაც მეტეორივით შეიჭრნენ რუსეთის პირველ ლიგაში და გოლი გოლზე გაჰქონდათ. თანაგუნდელებს რომ მხარი აებათ, გივი ნოდიას გუნდი წელსვე გადავიდოდა უმაღლეს ლიგაში. საბოლოოდ, „ლოკომოტივი“ ცხრილის შუაგულში ჩარჩა, ვარლამი ბომბარდირთა სიის სათავეშია 22 გატანილი გოლით, გია კი ერთგვარად ჩრდილში მოექცა, მაგრამ ვისაც ოდესმე უნახავს ამ ჟინიანი ნახევარმცველის თამაში, დამერწმუნება, რომ გიორგი კილასონია ნებისმიერი მწვრთნელისთვის ჩინებული საჩუქარია — ჩუმი, უპრეტენზიო და, რაც მთავარია, ფუტკარივით მუშა და გამოსადეგი. 13 გატანილი გოლის გარდა მის ანგარიშზე მეტოქის უამრავი ჩაშლილი შეტევა და ოცდაათამდე საგოლე პასია. გია კილასონია გუშინ შემხვდა და მითხრა, პეტერბურგში ჩვენი დარჩენის ძალზე მცირე შანსი დარჩა და არაა გამორიცხული, რუსეთის სხვა გუნდში გვიხილოთო.

**— გია, პეტერბურგში ყოფნისას კლუბის ვიცე-პრეზიდენტი სერგეი აქსიონენკო თქვენზე ამყარებდა მთელ იმედებს. ახლა რაღა მოხდა?**

— რა მოხდა. არ ვიცი, მაგრამ ფინანსური პრობლემები რომ წარმოიშვა, ფაქტია. წესით, ახლა სეზონში უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად უნდა გვებრძოლა, მაგრამ მომდევნო სეზონში უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირება განიზრახეს, ასე რომ, პირველი ლიგიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადადის უმაღლესში. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელობამ ალბათ იფიქრა, ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაზე ფიქრი უაზრობააო. პირადად ჩემთან საუბარში აქსიონენკომ ხელფასის შემცირებაზეც კი დაიწყო ლაპარაკი! კვეხნით არ ვიტყვი, მაგრამ სხვებს თუ უმატებენ ხელფასს, იმათზე ცოტა მეტიც გამიკეთებია, მეტსაც გავაკეთებ და რაღა მე უნდა დამაკლონ? მოკლედ, იანვარში რომ ჩავალ, თუ ხელფასის შემცირებაზე დამიწყებენ საუბარს, დავემშვიდობებით მეც და ვარლამიც.

**— მერე გივი ნოდია?**

— ბატონ გივის ვესაუბრე. ისე მოიქცა, როგორც სჩვევია — [illegible] წყვეტ. მე ხელს არ მეგიშლიო. ყველაზე [illegible] გა[illegible].

**— ბურნაძე რას აპირებს?**

— ბურნაძეც წამოსულა პეტერბურგიდან, ახლა რუსთავშია და რამდენადაც ვიცი, არც ის აპირებს უკან გაბრუნებას.

**— იყო ლაპარაკი თქვენს ისევ რუსთავში დაბრუნებაზე...**

— ეს ალბათ გამორიცხულია. არ მინდა, სხვანაირად გამომივიდეს, მაგრამ ისევ საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება, როცა მეტი შეგიძლია, უაზრობად მიმაჩნია.

**— სხვა გუნდები თუ შეგეხმიანნენ რუსეთიდან?**

— უეჭველად წამოსულები ჯერ არ ვართ და გუნდებმა არ იციან. ისე გვქონდა წინადადებები. სხვათა შორის, პეტერბურგიდან. სადირინი რომ დარჩენილიყო, ალბათ უმალ მიგვიწვევდა „ზენიტში“. წინადადებას კი კიდევ მივიღებთ...

**— ნაკრებში ბოლოს ბულგარეთთან ითამაშე. მერე აღარ შეგხმიანებიან?**

— იმ თამაშში ჩვენს მიერ დარტყმული ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა, ვინ იცის, ახლა როგორ იქნებოდა ჩემი საქმე. რაც შეეხება შემდგომში ნაკრებში გამოძახებას, მხოლოდ საბერძნეთთან მატჩის წინ შემეხმიანა ხელმძღვანელობა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, პირველი კითხვა ის იყო, რამდენს იწონიო? მეც ჩემი წონა ვუთხარი. არ ვიცი, რა არ მოეწონათ, მაგრამ აღარ გამომიძახეს.

**— მაშ, ჯერ არ არის თქვენი მომავალი გადაწყვეტილი?**

— ჯერ არა. ჩავალთ პეტერბურგში, დავილაპარაკებთ და გამოჩნდება. პიროვნულად აქსიონენკო ძალზე კარგი ბიჭია, კონტრაქტიც დაგვიმთავრდა. თუ პირობების გაუმჯობესების ნაცვლად ისევ ხელფასის შემცირებაზე დაგვიწყო ლაპარაკი, დავემშვიდობებით. არა მგონია, პრობლემები შეგვექმნას. მე და ვარლამი ალბათ ისევ ერთად გავაგრძელებთ კარიერას.

**მამუკა ქვარაცხელია**



გია და ვარლამი ფიფას არბიტრ ჰუსაინოვთან ერთად

გუშინ აღმოსავლეთმა ზონამ პირველი წრე დაასრულა. ბოლო ტურში ყველა ლიდერმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. გაუჭირდა მხოლოდ „ლოკომოტივს“, რომელიც 35-სტუ-ს მასპინძლობდა. „ლოკომოტივმა“ თავიდანვე შეუტია, მაგრამ სტუმრები მედგრად დაუხვდნენ და საკმაოდ მწვავე კონტრშეტევებიც შეაგებეს დავით დათუაძის აზრიანი თამაშის წყალობით. თავის მხრივ მასპინძელთა თავდამსხმელმა გიორგი მოსულიშვილმა გოლის გატანის საკმაო შესაძლებლობები გაუშვა ხელიდან. მეორე ტაიმში მერაბ მალალურაძემ პენალტი არ დანიშნა რკინიგზელთა კარში ბახვა მინდიაშვილის საჯარიმოში ხელით შეჩერებისთვის და ამან სტუდენტთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ტაიმის შუაში ლოკომოტიველმა ზაქარეიშვილმა გოლი გაიტანა და ახლა უკვე მასპინძლებს მოუხდათ ბოლო წუთებში თავის დაცვა და ნერვიულობა, თუმცა შედეგი მაინც შეინარჩუნეს და მეორე ადგილზე მყოფ „მორკინალს“ კვლავ ხუთი ქულით უსწრებენ. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის რობიზონ ქინქლაძის თქმით, გუნდი ფინანსურად ვერ არის წელგამართული, მოთამაშეებმა კი ისიც თქვეს, მეორე წრეში ენთუზიაზმის ხარჯზე მოგიწევთ თამაში —ასე გამოგვიცხადესო. მოკლედ, ჯგუფის ლიდერად კი რჩებიან, მაგრამ მომავლისაკენ შიშით იყურებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

## მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი, XX ტური

დურუჯი — ავაზა 2:2, დინამო 2 — თორი 10:0, არმაზი — ჟინერი 9:3, ასკ — მრეტები 3:1, ლოკომოტივი — 35-სტუ 1:0, მორკინალი — მესხეთი 8:2, შსს აკადემია — კოდაკო 3:0, შევარდენი — ჭაბუკიანი 1:0, ენერგეტიკოსი — ცხინვალი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 19 | 17 | 2 | 0 | 43:7 | 53 |
| მორკინალი | 19 | 15 | 3 | 1 | 50:8 | 48 |
| ასკ | 18 | 12 | 1 | 5 | 37:26 | 37 |
| ცხინვალი | 18 | 12 | 0 | 6 | 35:20 | 36 |
| არმაზი | 19 | 11 | 2 | 6 | 47:31 | 35 |
| დინამო 2 | 18 | 10 | 4 | 4 | 51:18 | 34 |
| შსს აკადემია | 19 | 10 | 3 | 6 | 47:21 | 33 |
| კოდაკო | 19 | 10 | 3 | 6 | 28:23 | 33 |
| შირაქი | 19 | 7 | 8 | 4 | 27:25 | 29 |
| 35-სტუ | 19 | 7 | 6 | 6 | 37:25 | 27 |
| იბერია | 19 | 8 | 1 | 10 | 25:29 | 25 |
| თორი | 19 | 7 | 2 | 10 | 16:37 | 23 |
| ჟინერი | 19 | 6 | 3 | 10 | 31:59 | 21 |
| მრეტები | 19 | 5 | 6 | 8 | 27:30 | 21 |
| შევარდენი 2 | 19 | 6 | 1 | 12 | 21:32 | 19 |
| ენერგეტიკოსი | 18 | 5 | 3 | 10 | 23:38 | 13 |
| დურუჯი | 19 | 3 | 4 | 12 | 15:50 | 13 |
| მესხეთი | 19 | 3 | 2 | 14 | 19:54 | 11 |
| ჭაბუკიანი | 19 | 1 | 6 | 12 | 15:29 | 9 |
| ავაზა | 19 | 2 | 2 | 15 | 15:38 | 8 |

ორი გამოტოვებული მატჩი: დინამო 2 — ენერგეტიკოსი და ცხინვალი — ასკ 15 დეკემბერს გაიმართება.

# რა მოხდა 9 ნოემბერს?





ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ნოემბერს მოხდა ის, რაც ჩვენში არასდროს მომხდარა, გაუგონარი ამბავი: თბილისში, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა განა მარტო ცარიელი, სავსე ბოთლებიც დაუშინა...

ინგლისის ნაკრებთან წაგებული მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ფეხბურთელები გააკრიტიკა. ისაც დასძინა, ჩვენს წილ პასუხისმგებლობას არც ნაკრების ხელმძღვანელობა ვიხსნითო. მაგრამ მთავარი აქცენტი მაინც ფეხბურთელების შეცდომებზე გადაიტანა. ამის მოსმენისას სრულიად ძალდაუტანებლად გაგვახსენდა, რომ ზუსტად ასევე იყო რუმინეთში ნაწნევი 0:5-ისა და გერმანიაში 1:4-ის მერეც — ფეხბურთელთა კრიტიკა და იდუმალებით მოცული „ჩვენს წილ პასუხისმგებლობას არც ნაკრების ხელმძღვანელობა ვიხსნით“.

რა იგულისხმება ამ ფრაზაში? ეს ჩემთვის გამოცანად რჩება და სანამ ამაზე პასუხს მივიღებდე, ვალიარებ, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასეთ პოზიციას არა მარტო გაუგებრად, მიუღებლადაც ვთვლი. ერთი რომ, ვფიქრობ, ულამაზოა, მწვრთნელი მარცხის მთავარ მიზეზად ფეხბურთელებს ასახელებდეს (ისევე, როგორც გენერალი — ჯარისკაცებს, გემის კაპიტანი — მეზღვაურებს და, თუნდაც, რედაქტორი — კორესპონდენტებს); მეორეც, როცა ფეხბურთელები ერთხელ გიმტყუნებენ, მეორედაც, მესამედ გუნდში აღარ უნდა მიიწვიო; მესამეც ეს არის: თუ სხვა არჩევანი არ გაქვს ან გამოსავალს ვერ პოულობ... ისევ იმას მივადექით — ადგილი სხვას უნდა დაუთმო.

ეს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრია და ისაც ბუნებრივი, სავსებით ნორმალურია, რომ ყველა ასე არ ფიქრობს. ამიტომაც „სარბიელის“ მთელი გუნდის სახელით უფლებამოსილი მოგახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთი მზადაა სხვათა ანუ განსხვავებული აზრის გამოსათქმელადაც გამოყოს ადგილი, ოღონდ ერთი პირობით: დისკუსია იყოს სალი, არგუმენტირებული, ყოველგვარი შეურაცხყოფა და კინკლაობა გამოირიცხოს.

მართლაც, ხომ არ შეიძლება, ყველაფერი მწვრთნელის ბრალი იყოს? რა თქმა უნდა, არა. ფეხბურთელებიც სცოდავენ, ისინიც ცდებიან და ზოგჯერ ეს შეცდომები მატჩის შედეგსაც განაპირობებს. მაგრამ ფეხბურთელი მწვრთნელის განკარგულებაში, მისი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და საბოლოო ჯამში პასუხი, მოგვწონს ეს თუ არა, ისევ მწვრთნელს მოეკითხება. ყველას გვსმენია, თამაშს ფეხბურთელები იგებენ და მწვრთნელი აგებსო. ასეთიცაა ფეხბურთის ფილოსოფია. როცა ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას ყაბულდები, ამისთვისაც მზად უნდა იყო და ოპონენტთან დისკუსიისთვისაც. ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თავის ოპონენტთაგან ერთ-ერთთან, კერძოდ, „სარბიელთან“. შეხვედრას თავი აარიდა. სხვაგვარად ვერ ვიტყვი. ალექსანდრე ჩივაძესთან შესახვედრად და ჩვენს გაზეთში მისი, როგორც მოსალოდნელია, ჩვენისგან აბსოლუტურად საპირისპირო, აზრის გამოსაქვეყნებლად ყველაფერი ვიღონეთ: ჩვენი თანამშრომლები ფედერაციაშიც მუდმივად მიდიოდნენ, ვლადიმერ პანოვისა და რამაზ შენგელიას შუამავლობაც ვითხოვეთ და თვით ბატონ ალექსანდრეს ოჯახობაც შევაწუხეთ რამდენიმე სატელეფონო ზარით. ბოლოს, იმედგადაწურულებმა, შინ დავუბარეთ მოწიწებით, ვერსად მივაკვლიეთ და, თუ არ შეწუხდება, იქნებ თვითონ დაგვიკავშირდეს, როცა ინებებსო. ამაოდ.

არადა, ეს შეხვედრა რომ შემდგარიყო, უეჭველად დავინტერესდებოდით და იქნებ კიდეც გაგვეგო, რას გულისხმობს ჩივაძე როცა ამბობს ნაკრების ხელმძღვანელობა თავის წილ პასუხისმგებლობას არ იხსნისო. ან იქნებ ნაწილობრივ მაინც ახდილა ფარდა იმ საიდუმლოს, რომელზე ლაპარაკსაც ნაკრების მწვრთნელი მხოლოდ პოსტის დატოვების შემდეგ გვპირდება. კიდევ ბევრ სხვასთან ერთად იმასაც ვიკითხავდით, რას ფიქრობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის მოსაზრებაზე: „ბოლოსდაბოლოს, სად თამაშობენ ჩვენი ლეგიონერები? ევროპის მესამე-მეოთხე ხარისხოვან გუნდებში, რომლებიც საქართველოს ჩემპიონს თბილისის „დინამოს“ არაფრით არ აღემატებიან. იქნებ დამისახელოთ რომელიმე წასული ფეხბურთელი, რომელმაც საზღვარგარეთ კლასი აიმაღლა. მე კი პირიქით მიმაჩნია. იქ მათ უფრო უკლეს თამაშს“ („ქართული ფეხბურთი“, 22 ნოემბერი, 1996 წელი).

ასეა თუ ისე, ალექსანდრე ჩივაძის აზრი ამ საკითხებზე, ვიმედოვნებთ — მაინც ჯერჯერობით, ვერ შევიტყვეთ. არადა, მართლაც ძალიან საინტერესოა, ვთქვათ, სად თამაშობენ ჩვენი ლეგიონერები. ხომ შეიძლება, ჩივაძეს კვინიკაძისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს ამ საკითხზე. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თავის ბოლო ინტერვიუში ინგლისელთა წინააღმდეგ გამოყვანილ შემადგენლობას სადღეისოდ ოპტიმალური უწოდა. ამ შემადგენლობიდან ორი კაცი — შოთა არველაძე და გიორგი ნემსაძე თურქეთის ვიცე-ჩემპიონის „ტრაბზონსპორის“ შემადგენლობაში გამოდის. იმ თურქეთისა, რომლის ფეხბურთის ბოლოდროინდელი აღმავლობა, ვფიქრობ, უდავო ფაქტია. ეს წლეულს თურქეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობით დაგვირგვინდა. თურქებმა ძლიერად ჩაატარეს შესარჩევი ტურნირი, ოთხი მატჩი მოიგეს, სამი ფრედ დაასრულეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ (შინ შვეიცარიასთან — 1:2. მაგრამ აქვე ისაც გავიხსენოთ, რომ საპასუხო მატჩში რევანში აიღეს, სტუმრად ამავე ანგარიშით მოიგეს), უკან ჩამოიტოვეს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი შვედეთი (!), უნგრეთი, ისლანდია, მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ და შვეიცარიელებთან ერთად ინგლისში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ირგუნეს (პირველად ისტორიაში!). უმნიშვნელო არც ის უნდა იყოს, რომ ნაკრებთა უმრავლესობისგან ანუ იმ გუნდთაგან განსხვავებით, სადაც უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ლეგიონერები დომინირებენ, თურქეთის ეროვნული გუნდი მთლიანად ადგილობრივი კლუბების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და მწვრთნელიც თურქი — ფათიჰ თერიმი ჰყავდა. სიტყვამ მოიტანა და, ევროპის ჩემპიონატზე თურქეთის ჩემპიონატის კიდევ ორი მონაწილე იყო: ფენერბაჰჩელი იეს ჰოგი დანიის ნაკრების ღირსებას იცავდა, ბეშიქთაშელმა შტეფან კუნცმა (ახალი სეზონიდან ბილეფელდის „არმინიაში“ თამაშობს) კი გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა!

რადგან უცხოელებს შევეხეთ, ალბათ ღირს იმის აღნიშვნაც, რომ თურქეთის ჩემპიონატში სხვა ცნობილი უცხოელებიც გამოდიან: ნიგერიელები უჩე ოკეჩუკვუ, ჯეი ჯეი ოკოჩა (ორივე ფენერბაჰჩე), დანიელ ამოკაჩი (ბეშიქთაში), შვეიცარიელი ადრიან კნუპი (გალათასარაი), რუმინელი გეორგ ჰაჯი (გალათასარაი), ბულგარელები ემილ კოსტადინოვი (ფენერბაჰჩე) და ზლატკო იანკოვი (ბეშიქთაში), ბოსნიელი ელვირ ბოლიჩი (ფენერბაჰჩე) და სხვანი. ამათგან სამი — ჰაჯი, კოსტადინოვი და იანკოვი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ და ამ ტურნირის მერე გადავიდნენ თურქულ კლუბებში. ასეთი სახელიანი ოსტატები, თურქულ ფეხბურთში რაიმე კრიზისი რომ შეემჩნიოდეს, ნამდვილად სხვა გზას აირჩევდნენ.

დღესდღეობით თურქეთში უმაღლესი ტიტულებისთვის დაახლოებით თანაბარი ძალის ოთხი ევროპული კლასის გუნდი („ფენერბაჰჩე“, „ტრაბზონსპორი“, „ბეშიქთაში“, „გალათასარაი“) იბრძვის. კიდევ ორი-სამი კლუბი („ბურსასპორი“, „გაზიანთეფსპორი“, „ქოჩაელისპორი“) თავის მხრივ მუდამ მზადაა, ლიდერებს ხასიათი გაუფუჭოს, რაც საკმაოდ სერიოზულ კონკურენციას ქმნის და სათამაშო კლასის ამაღლებასაც უდავოდ ხელს უწყობს. ეს ევროტურნირებზე თურქული კლუბების საკმაოდ კარგი თამაშითაც დადასტურდა.

ეს ყოველივე კი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის გარჯის შედეგია — მან ყველაფერი იღონა ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ ბოლო წლებში ნაკრებთან და კლუბებთან მუშაობდნენ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები: გერმანელები პიონტეკი, ფელდკამპი, დერვალი, დაუმი, ინგლისელი მილნი, შოტლანდიელი სუნესი, ჰოლანდიელი ბენჰაკერი, ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა — ვისი ხელმძღვანელობითაც ბრაზილიამ კვლავ დაიბრუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული! მისი თანამემამულე ლაზარონი კი დღესაც თავკაცობს „ფენერბაჰჩეს“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზა და თავისი კვალიც დატოვა (მარტო მანჩესტერში „იუნაიტედის“ დამარცხება რად ღირს!). ნიშანდობლივია ისიც, რომ „გალათასარაის“ ახალი სეზონიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი (!) თურქეთის ნაკრების მწვრთნელობიდან გადამდგარი ფათიჰ თერიმი ჩაუდგა სათავეში.

აი ასეთ გარემოცვაში იქვეითებენ კლასს შოთა არველაძე და გიორგი ნემსაძე. თანაც, გარდა იმისა, რომ მათი „ტრაბზონსპორი“ ერთთავად ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, საპრიზო ადგილს არ ჩამოშორებია და გასულ წელს ქვეყნის თასსაც დაეპატრონა, შოთამ ისე ივარგა, რომ ბოლო ჩემპიონატში 25 გოლი გაიტანა (ყველა თამაშიდან, არცერთი პენალტით!) და თურქეთის საუკეთესო ბომბარდირის ჯილდო დაიმსახურა!

ასეთსავე დღეშია თემურ ქეცბაიაც, რომელიც ათენის აეკ-ის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ეს კლუბი 1992, 1993, 1994 წლებში საბერძნეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების მერე მართლაც „დაჩაჩანაკდა“ და 1995 წელს მეხუთე ადგილი დაიკავა. თუმცა, 1996 წელს უკვე მეორე იყო. წინ კი ის „პანათინაიკოსი“ გაატარა, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში თვით „აიაქსს“ რომ დააწყვეტა ნერვები. ქეცბაიამ თავის კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც მოსინჯა ძალა და სხვა ევროთასებშიც. ახლაც, თასების თასის მეოთხედფინალში აეკი გაზაფხულზე ამავე თასის მფლობელ „პარი სენ-ჟერმენს“ შეხვდება და სულაც არ ითვლება აუტსაიდერად ამ წყვილში.

მურთაზ შელია ევროტურნირებზე მართლაც სირცხვილნაჭამ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ კი თამაშობს, მაგრამ შარშანდელ ჩემპიონატში მისმა გუნდმა ყველას აჯობა და შელიამაც თანაგუნდელებთან ერთად რუსეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს მიღწევა ლამის წლეულსაც გაიმეორეს: მხოლოდ დამატებით მატჩში დაუთმეს ტიტული მოსკოვის „სპარტაკს“. მურთაზი კი არა მარტო დაცვაში თამაშით აკმაყოფილებს მწვრთნელის მოთხოვნებს, შეტევებშიც ხშირად ერთვება და არაერთი გოლიც გაიტანა.

რაც შეეხებათ გიორგი ქინქლაძისა და კახა ცხადაძის კლუბებს, ისინი თავიანთი ქვეყნების უმაღლეს ეშელონებში არ გამოდიან და მათ ღირსებებზე ლაპარაკი მართლაც უადგილო იქნება. ზოგადად ინგლისის პირველ დივიზიონსა და გერმანიის მეორე ბუნდესლიგას რაც შეეხება, გავბედავ და ვიტყვი: მონაწილე გუნდების საშუალო დონით, რომ აღარაფერი ვთქვათ წმინდა სპორტულ კონკურენტუნარიანობასა და საბრძოლო სულისკვეთებაზე, ისინი ნამდვილად აღემატებიან საქართველოს ჩემპიონატს, რომლის უცვლელი, ერთადერთი ჩემპიონის ღირსებას იცავენ ზოიძე, ლობჟანიძე, კობიაშვილი, ჯამარაული, გოგიჩაიშვილი და უცხოეთში კლასის დაუქვეითებლად მეორე ადგილზე მყოფ კონკურენტისმაგვარსაც კი 8:0 უგებენ!

აი, სად თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები. იმას კი, თუ როგორ თამაშობენ ისინი, ცალკე თემად გამოვყოფდი და ამაზე კიდევ უფრო მეტი იქნებოდა სალაპარაკო. თანაც, მერწმუნეთ — ერთობ სასიამოვნო. არა, იმას როდი ვამტკიცებ, ჩვენი ფეხბურთელები სულ ვარსკვლავებს ეთამაშებიან და არაფერს სცოდავენ-მეთქი. რა თქმა უნდა, მათაც აქვთ კარგი და ცუდი მატჩები, მაგრამ როცა შოთა არველაძე და თემურ ქეცბაია მხოლოდ იმაზე იხარჯებიან, რომ მეტოქისთვის ხელის შესაშლელად მინდვრის ცენტრში თავქუდმოგლეჯილი დარბიან, ეს, ასე მგონია, მათი ბრალი არ არის. როცა საკუთარი ნახევრიდან იერიშის წამოწყებისას ქინქლაძე და ჯამარაული ბურთის „გასაყოფად“ ერთმანეთს ეჯაჯგურებიან, არც ესაა მათი ბრალი...

ისე, თუ გვსურს, რომ ჩვენიანების გადასაბირებლად სულ მილანები და ბარსელონები ეცილებოდნენ ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა ისევ და ისევ ჩვენსავე საფეხბურთო მეურნეობას სჭირდება ძირფესვიანი გადახალისება ეროვნულ ჩემპიონატიან-ეროვნულ ნაკრებიანად.

აშკარაა, აზრთა სხვადასხვაობის რეალური საფუძვლები არსებობს. ასეთ ვითარებაში აქტიურად უნდა გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას მწვრთნელები და სპეციალისტები. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კიდეც ამოიღო ხმა, მაგრამ უმრავლესობა ჩუმად არის. რას იზამ, როცა ამის მაგალითს თვით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იძლევა. დამეთანხმებით, ყველას ძალიან გვაინტერესებს, რას ფიქრობს ნოდარ ახალკაცი ნაკრების პრობლემებზე (ან ეგებ თვლის, რომ არანაირი პრობლემა არც არსებობს), მწვრთნელსა და მოთამაშეებზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, ან, სულაც, პრესის პოზიციაზე. მაგრამ იგი დუმს. შეიძლება, დუმილს უფრო მიზანშეწონილად თვლის, ბოლოსდაბოლოს, ეს მისი საქმეა, ჩვენ ვერაფერს ვიზამთ. თუმცა ის კი შეგვიძლია გავიხსენოთ, რა რიხით გვამცნო ნოდარ ახალკაცმა ტელეეკრანიდან რამდენიმე თვის წინ, ფიფამ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დაუშვაო! თანაც, ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგად მოგვაწოდა. ცნობისთვის: ფიფას წევრი ქვეყნისთვის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მისაღებად საჭიროა შესაბამისი განაცხადის ფიფაში გაგზავნა დადგენილ ვადაში. თავის მხრივ კი ეს ორგანიზაცია დაინტერესებულია იმით, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა მონაწილეობდეს მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში და ამას საქვეყნოდაც აცხადებს. აქედან გამომდინარე, თუ ქვეყანაში დიდი ომი ან კატასტროფული ეპიდემია არ მძვინვარებს, უარს, ფაქტობრივად, არავის ეუბნება. ასე რომ, ამგვარივე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დარი „დიდი შრომა“ მიმდინარე ციკლის მონაწილე 170-ვე ქვეყნის ფედერაციას გაუწევია. მაშ, ისეა საქმე, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები როცა, რაზეც და როგორც სურთ, ისე ლაპარაკობენ?

ორატორული ნიჭია — საჭირო სიტყვებისა და აქცენტების სწორი განაწილებით ფაქტის მნიშვნელობა მავანის თვალში ერთი-ორად გაიზრდება, ან პირიქით — დაკნინდება: საქართველოს ნაკრები პირველად მონაწილეობს ისეთი რანგის შეჯიბრში, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია და რა მოხდა, პლანეტის ექს-ჩემპიონთან თუ წავაგეთო.

მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენი გუნდი ფორმალურად მართლაც პირველად მონაწილეობს. მაგრამ ამ ტურნირის შესარჩევი ეტაპი განა რამით განსხვავდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისგან? მით უფრო, ჯგუფში წინა ციკლიდან მწარედ რომ დაგვამახსოვრა თავი, ის მოლდოვა გვყავს. შეიძლება, ობიექტურმა კაცმა საქართველოს ნაკრების პირველად მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სერიოზულად მოიშველიოს ასეთი მარცხის ასახსნელ ერთ-ერთ მიზეზად? ამგვარი ლოგიკით, მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ვთქვათ, მეხუთე ჯგუფში თუ მოვხვდით, შეგვეძლება თქმა, მეხუთე ჯგუფის დებიუტანტები ვართ და ეს გათამაშება ამ ჯგუფში გამოცდილების მისაღებად გვჭირდებაო.

1936 წელს, როცა თბილისის „დინამო“ ანუ საქართველოს მაშინდელი ნაკრები პირველად გამოვიდა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ეს მაშინ, როცა ჩვენები მართლაც დებიუტანტები იყვნენ. სამოცი წლის წინათ ისინი თამაშზე, საქმის კეთებაზე, შეუპოვარ ბრძოლაზე ფიქრობდნენ და იმიტომ!

მაყურებელი კი სწორედ თავისი გუნდის გამარჯვების იმედით, გამარჯვების სანახავად და საზეიმოდ ხარჯავს ლამის მთელი თვის ხელფასს სტადიონზე მოსახვედრად (ბევრი სხვა ქალაქიდან ჩამოდის). ასეა ყოველთვის, სუპერჰონორარებიანი სუპერვარსკვლავებით სავსე ინგლისი და იტალია გვყავს მეტოქედ თუ თითქმის უცნობი, მაგრამ პროფესიონალებით დაკომპლექტებული პოლონეთი და მოლდოვა. გულშემატკივარს, ქომაგს არ აკმაყოფილებს წაგება, თუნდაც ღირსეული (მით უმეტეს, ხუთჯერ ზედიზედ), მას მოგება სწყურია და არც გაემტყუნება.

ერთ საგაზეთო წერილში კოტე მახარაძე გაწყრა: ვინ დაგვიდგინა, რომ ინგლისის ნაკრებისთვის აუცილებლად უნდა მოგვეგო და ეროვნული დღესასწაული მოგვეწყოო. მართლაც რომ არავის დაუდგენია, მითუმეტეს, ღმერთო, დაგვიფარე და, ჩვენ, სარბიელელებს. მაგრამ ის ვინღა დაგვიდგინა, რომ ინგლისელებს არამც და არამც არ უნდა მოვუგოთ და ეროვნულ დღესასწაულზე კი ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ფიქრადაც არ გავივლოთო? ეროვნული დღესასწაული ხომ იმიტომაა ეროვნული, რომ არავის დადგენა და არანაირი დადგენილება არ სჭირდება. რამდენადაც ვიცი, არც 1981 წლის 13 მაისის ზეიმი იყო ვინმეს მიერ ვიზირებულ-სანქცირებული! ეროვნულ დღესასწაულში გადაზრდილი საყოველთაო სიხარული, სიამაყე, გამარჯვებით განმტკიცებული ესოდენ საჭირო რწმენა საკუთარი ძალისა და გრძნობა საკუთარი ღირსებისა, დიახაც, იყო ჩვენი სურვილი. „სარბიელი“, პირადად მეც, 30 აპრილის „უემბლის“ მატჩის წინაც იგივეს ვისურვებთ, იგივეს მოვუწოდებთ სხვასაც. და განა მარტო „უემბლის“ მატჩის წინ! ისე, უმატჩოდაც, საერთოდ: ბიჭებო, ხალხო, ბატონო კოტე, მოვიწყოთ ეროვნული დღესასწაული კი არა — დღესასწაულები! დაუდგენელ-დაუკითხავი დღესასწაულები! ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება! ეს, იმედია, ერთმანეთის მიმართაც უფრო გულისხმიერებსა და კორექტულებს გაგვხდის. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ამაში ცუდი არაფერია და უდავოა, ამაზე ოცნებას, ამის სურვილსა და ამისკენ სწრაფვას ვერავინ დაგვიშლის!

... 9 ნოემბერს მოხდა ის, რაც ჩვენში არასდროს მომხდარა, გაუგონარი ამბავი: თბილისის ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა განა მარტო ცარიელი, სავსე ბოთლებიც დაუშინა!...

**ზურაბ ფოცხვერია**

P. S. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გაზეთი „ქართული ფეხბურთი“ წერდა, ჯერ ქუთაისის ავტოქარხანამ გამოუშვას „მერსედესის“ ტიპის ავტომანქანა და ფეხბურთელთა გამარჯვებები მერე იყოსო. ვიფიქრე, ახლა ქუთაისელმა ავტოქარხნელებმა თუ განაცხადეს, ჯერ ჩვენმა ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს თასი ჩამოიტანოს საქართველოში და საერთაშორისო სტანდარტების ავტომობილის გამოშვებაზე მერე ვილაპარაკოთო, მაშინ? ჩვენ კი, ჟურნალისტები, ექიმები, იურისტები, ეკონომისტები, მასწავლებლები, ფერმერები გულხელდაკრეფილნი დავსხდეთ და ველოდოთ, ვიდრე ფეხბურთელები თბილისში მსოფლიოს თასს ჩამოიტანენ და ავტოქარხნელები ქუთაისში „პორშს“ააწყობენ.

ვაი შენ, ბედკრულო საქართველო!

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის „ბარსელონაში“ მოთამაშე რობერტ პროსინეჩკი, რომელსაც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა, „სევილიაში“ გადავიდა. „სევილია“ ფეხბურთელისთვის მეოთხე ეს-



პანური კლუბია. 1991 წელს პროსინეჩკიმ „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი აიღო, შემდეგ კი მისი ესპანური ოდისეა დაიწყო. ჯერ დედაქალაქის „რეალში“ მოხვდა, შემდეგ — „ოვიედოსა“ და „ბარსელონაში“. „სევილიას“ კიდევ ერთმა ახალწვეულმა — ბებეტომ უკვე გამოთქვა სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

**ნორვეგიის „როსენბორგის“ მცველი ბიორნ ტორე კვარმე მომავალი წლიდან „ლივერპულს“ შეუერთდება. ფეხბურთელი უკვე ესაუბრა ალბიონელთა მწვრთნელს როი ევანსს. კვარმეს კლუბთან კონტრაქტი 31 დეკემბერს უმთავრდება, ბოსმანის წესის თანახმად კი „ლივერპული“ მასში პენსსაც არ გადაიხდის.**

ინგლისელი მწვრთნელი ბრაიან კლაფი საავადმყოფოში მოხვდა, რაკი ერთობ მიეძალა ალკოჰოლს. ახლა იგი სარეაბილიტაციო კურსს გადის. მისი ხელმძღვანელობით „ნოტინგემმა“ 1979 და 1980 წლებში ჩემპიონთა თასი და ევროპის სუპერთასი მოიპოვა. პროფესიონალურ მწვრთნელობას იგი სამი წლის წინ გამოეთხოვა.

**ბრაზილიის ჩემპიონატის პირველი ფინალური შეხვედრა გაიმართა სან-პაულუში, სადაც „პორტუგეზამ“ 2:0 მოუგო „გრემიოს“. ბურთები შეაგდეს გალომ 38-ე და როდრიგომ მე-60 წუთებზე.**

ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში ჩარტერული რეისით ჩაფრინდა პარაგვაის ნაკრების მეკარე ხოსე ლუის შილავერი, რომელმაც გოლების გატანით გაითქვა სახელი. იგი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მასპინძელთა ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. გასულ კვირას მან პენალტი ვერ გაიტანა, თუმცა, როგორც აეროპორტში აღნიშნა, გუნებ-განწყობა არ ღალატობს.

**გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ნაკრების კაპიტანს იურგენ კლინსმანს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა. იურგენმა მოწვევა იუარა, და განაცხადა, რომ პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ერთწლიან შვებულებას აიღებს. ამ პერიოდში გამოჩნდება, ძალუძს თუ არა უფეხბურთოდ გაძლება. თავის მომავალსაც ამის მიხედვით გადაწყვეტს.**

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში 20 იანვარს ფიფა დაასახელებს წლის საუკეთესო ფეხბურთელს. გამოკითხვაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელები მონაწილეობდნენ. ჯერჯერობით ყველაზე მეტი ხმა ვეამ, შირერმა და რონალდომ დააგროვეს.

**აშშ-ში 17-22 იანვარს მეხუთედ გათამაშდება ამერიკის თასი. მასპინძლების გარდა კონტინენტის თასისთვის მექსიკა, პერუ და დანია იბრძოლებენ. ორჯერ, 1992 და 1995 წლებში ამერიკელებმა იმარჯვეს, 1993 წელს — გერმანელებმა, წლეულს კი მექსიკელებმა.**

ეგვიპტეში, სახელდობრ, კაიროში გამართულ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის სხდომაზე გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან კონტინენტის ჩემპიონთა თასის გათამაშება ევროპულის მსგავსი გახდება. შესარჩევ მატჩებში გამარჯვებული 8 გუნდი ორ ჯგუფად დაიყოფა. ჯგუფებში ისინი მიმოსვლით ითამაშებენ, გამარჯვებულები კი ფინალში გავლენ. გათამაშება იანვარში დაიწყება.

**ესპანურ „ბარსელონას“ არ აკმაყოფილებს ამ კლუბში მოთამაშე უცხოელთა რაოდენობა და ახლა გერმანელ ციგეს დაადგა თვალი. კატალონიურმა კლუბმა „ბაიერნს“ 10 მილიონი მარკა შესთავაზა ციგეში, თუ იგი კონტრაქტის დამთავრებამდე ესპანეთში გადავა.**

მაროკოს დედაქალაქ კასაბლანკაში ჩატარდა ამ ქვეყნის მეფის ჰასან II-ის თასის გათამაშება. ტურნირში ოთხი ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა. აფრიკას წარმოადგენდნენ მასპინძლები და ნიგერია, ევროპას — ხორვატია და ჩეხეთი. ნახევარფინალში მაროკომ ნიგერია დაამარცხა 2:0, ხორვატებმა პენალტების სერიაში 4:1 სძლიეს ჩეხებს (ძირითადი დრო 1:1 დასრულდა). ფინალში ხორვატებმა 2:0 მოუგეს მასპინძლებს.

**გერმანიაში მოთამაშე ნიგერიელი ფორვარდით ჯონათან აკპობორით დაინტერესდა მადრიდის „ატლეტიკო“. წლეულს აფრიკელმა „ჰანზას“ შემადგენლობაში 10 გოლი გაიტანა. ესპანური კლუბი მზადაა ნიგერიელში 5 მილიონი დოლარი გადაიხადოს.**

პორტუგალიაში, კერძოდ, ლისაბონში, 29 იანვარს გაიმართება მატჩი, რომელიც „ანტირასისტული წლის“ ეგიდით ჩატარდება. აფრიკის ნაკრებს უმასპინძლებს ევროპა. შავი კონტინენტის წარმომადგენლებმა უკვე გამოაცხადეს გუნდის შემადგენლობა: მეკარეები: ჟაკ სონგო (კამერუნი), აბოიდუნ ბარუვა (ნიგერია); მცველები: სელესტინ ბაბაიარო, უჩე ოკეჩუკვუ, ტარიბო ვესტი (ყველა ნიგერია), ფრანკ ამანკვა (განა), მარკ ფიში (სამხრეთ აფრიკა), ნურედინ ნაიბეთი (მაროკო), იასერ რადვანი (ეგვიპტე); ნახევარმცველები: დანიელ ამოკაში, ფინიდი ჯორჯი, ჯეი ჯეი ოკოჩა, სანდი ოლისე (ნიგერია), მარკ ვივიენ ფოე (კამერუნი), აბედი პელე (განა), მუსა საიბი (ალჟირი); თავდამსხმელები: ტიჯანი ბაბანგიდა, ვიქტორ იკპება (ნიგერია), იაფეტ ნდორამი (ჩადი), ჟორჟ ვეა (ლიბერია). ნაკრებს უხელმძღვანელებს სენეგალელი მავადე ვადე.

**შოტლანდიის ბოლო 8 წლის უცვლელმა ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა“ 10 მილიონი დოლარი გადაიხადა ჩილელ სებასტიან როზენტალში. ფეხბურთელის აწ უკვე ყოფილი კლუბი „უნივერსიდადი“ 6,5 მილიონს მიიღებს, თავად მოთამაშე კი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ 3,5-ს.**

პორტუგალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გერმანელების წინააღმდეგ არ ეყოლება „პორტუს“ მცველი სერჟიო კონსეისაო. ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს „ოვიედოს“ მცველი პაულუ ბენტუ.

**გერმანული პრესის ცნობით, „პარმას“ ყოფილი მწვრთნელი ნევიო სკალა ესაუბრა იაპონური და გერმანული კლუბების წარმომადგენლებს. სკალას უკვე ესაუბრა „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე.**

ნიგერიელი ფორვარდი ნვანკვო კანუ გულის ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოდან გაეწერა. მას რთული ოპერაცია გაუკეთეს შეერთებულ შტატებში. ექიმების განცხადებით, ოთხსაათიანმა ოპერაციამ კარგად ჩაიარა და კანუ გამოჯანმრთელების გზაზეა.

**ალბანეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩრდილო ირლანდიელებთან ორი ფეხბურთელი მოისაკლისა. არიან ჯუმბამ და არიან ბელაიმ, რომლებიც ბერძნულ კლუბ „კალამატაში“ თამაშობენ, გზების გადაკეტვის გამო ათენში დროულად ჩასვლა და ბრიტანეთის ვიზების გაფორმება ვერ მოასწრეს.**

ინგლისურ პრესაში გაჩნდა ცნობები, თითქოს განელი იებოა „ლიდსს“ ტოვებდა, თუმცა კლუბის მწვრთნელის ჯორჯ გრემის განცხადებით, ფეხბურთელი გუნდში რჩება: „მას გარკვეული პრობლემები კი შეექმნა, მაგრამ ჩვენ ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ იგი დარჩეს. მისთვის ასე აჯობებს“.

### პირზე მომდგარსა სიტყვასა

ევროპის საფეხბურთო წრეებში გახშირდა რასისტული გამოხდომები. ზოგი ამას შეგნებულად სჩადის, ზოგის საქციელი კი უნებურია. „ასტონ ვილას“ მეკარემ ბოზნიჩმა ნაცისტური მისალმებით გააოგნა სტადიონზე მისული გულშემატკივრები. ამ ამბის გამო პრესამ ერთი ამბავი ატეხა და ბოზნიჩმაც ბოდიში არ დააყოვნა. გასულ თვეში კი თვით უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა თავის გამოსვლაში უნებურად წარმოთქვა წინადადება, რომელიც ხალხმა რასისტულად ჩათვალა და მასაც, ბოზნიჩის მსგავსად, ბოდიშის მოხდა მოუწია. ორივემ განაცხადა, რომ ისინი რასისტები არ არიან. ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს მილანელმა ჟორჟ ვეამ ცხვირი გაუტეხა „პორტუს“ ფეხბურთელს ჟორჟე კოშტას. ლიბერიელის თქმით, კოშტამ რასისტული სიტყვებით შეამკო იგი. ინგლისში პეტერ შმაიხელსა და იან რაიტს შორის მომხდარი შელაპარაკების ამბავმა ფედერაციის ყურამდეც მიაღწია. ამავე წაკინკლავებისას დანიელს თურმე უკადრებელი უკადრია. მსგავსი შემთხვევები სხვაც ბევრია. ინგლისში უკვე დაიწყო ანტირასისტული კომპანია, რომლის დევიზია „განავგდოთ რასიზმი ფეხბურთიდან“. უეფამ მხარი დაუჭირა ალბიონელთა წამოწყებას და იმედია, კუნძულელების იდეას ევროპელებიც აიტაცებენ.

## იტალია

მე-10 ტურის გამოტოვებული მატჩი.

**უდინეზე 1:4 იუვენტუსი**

**უდინეზე:** ტურჩი, ორლანდო, ბია, კალორი (ბერტოტო 46), პელეგი, სტროპა, დეზიდერი (გარგო 75), როხიტო, კაპიოლი, კლემენტი (ამორუზო 66), პოჯი

**იუვენტუსი:** პერუცი (რამპულა 61), ტორიჩელი, პორინი, ჯულიანო, ფერარა, დი ლივიო (ლომბარდო 69), ტაკინარდი, ზიდანი, დეშამპი, დელ პიერო, ბოკშიჩი

**გოლი:** ბოკშიჩი (23), დელ პიერო (37 პ, 45 პ), კაპიოლი (54), დეშამპი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 12 | 7 | 4 | 1 | 17:8 | 25 |
| ვიჩენცა | 12 | 6 | 4 | 2 | 21:12 | 22 |
| ინტერი | 12 | 5 | 6 | 1 | 16:11 | 21 |
| ბოლონია | 12 | 6 | 2 | 4 | 20:16 | 20 |
| ნაპოლი | 12 | 5 | 5 | 2 | 17:16 | 20 |
| ფიორენტინა | 12 | 4 | 6 | 2 | 19:14 | 18 |
| მილანი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:15 | 18 |
| რომა | 12 | 4 | 5 | 3 | 20:16 | 17 |
| სამპდორია | 12 | 4 | 4 | 4 | 16:11 | 16 |
| ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 12:11 | 16 |
| პიაჩენცა | 12 | 4 | 4 | 4 | 14:16 | 16 |
| პერუჯა | 12 | 5 | 1 | 6 | 17:21 | 16 |
| უდინეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | 15 |
| პარმა | 12 | 3 | 5 | 4 | 12:13 | 14 |
| ატალანტა | 12 | 2 | 5 | 5 | 12:21 | 11 |
| კალიარი | 12 | 2 | 4 | 6 | 14:19 | 10 |
| ვერონა | 12 | 1 | 4 | 7 | 11:23 | 7 |
| რეჯანა | 12 | 0 | 5 | 7 | 10:22 | 5 |

## შოტლანდია

მე-16 ტური. დანფერმლაინი — ჰიბერნიანი 2:1; ჰართსი — აბერდინი 1:2; მოზერველი — რეით როვერსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 15 | 11 | 2 | 2 | 35:13 | 35 |
| აბერდინი | 16 | 8 | 4 | 4 | 30:20 | 28 |
| სელტიკი | 14 | 8 | 3 | 3 | 32:15 | 27 |
| ჰართსი | 16 | 5 | 6 | 5 | 19:21 | 21 |
| დანდი იუნ. | 16 | 5 | 5 | 6 | 18:17 | 20 |
| დანფერმლაინი | 15 | 5 | 5 | 5 | 21:28 | 20 |
| ჰიბერნიანი | 16 | 5 | 3 | 8 | 17:27 | 18 |
| მოზერველი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:24 | 17 |
| რეით როვერსი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:27 | 15 |
| კილმარნოკი | 14 | 3 | 2 | 9 | 17:29 | 11 |

## აზიის თასი

ჯგუფური ტურნირის შედეგები

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ინდონეზია — ქუვეითი | 2:2 |
| საემიროები — კორეა | 1:1 |
| საემიროები — ქუვეითი | 3:2 |
| კორეა — ინდონეზია | 4:2 |
| ქუვეითი — კორეა | 2:0 |
| საემიროები — ინდონეზია | 2:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საემიროები** | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| **ქუვეითი** | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| **კორეა** | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ინდონეზია | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| ერაყი — ირანი | 2:1 |
| საუდის არაბეთი — ტაილანდი | 6:0 |
| საუდის არაბეთი — ერაყი | 1:0 |
| ირანი — ტაილანდი | 3:1 |
| ერაყი — ტაილანდი | 4:1 |
| ირანი — საუდის არაბეთი | 3:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ირანი** | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| **ს. არაბეთი** | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| **ერაყი** | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ტაილანდი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:13 | 0 |

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| უზბეკეთი — ჩინეთი | 2:0 |
| იაპონია — სირია | 2:1 |
| იაპონია — უზბეკეთი | 4:0 |
| ჩინეთი — სირია | 3:0 |
| იაპონია — ჩინეთი | 1:0 |
| უზბეკეთი — სირია | 1:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იაპონია** | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| **ჩინეთი** | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| უზბეკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| სირია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |

მეოთხედფინალებში ითამაშებენ:
კვირა, 15 დეკემბერი

ერაყი — საემიროები
ქუვეითი — იაპონია

ორშაბათი, 16 დეკემბერი

ირანი — სამხრეთ კორეა
საუდის არაბეთი — ჩინეთი

ნახევარფინალებში ითამაშებენ:
ოთხშაბათი, 18 დეკემბერი

15 დეკემბრის გამარჯვებულები ერთმანეთს ხვდებიან, 16 დეკემბრისა კი ერთმანეთს.

ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩი შაბათს, 21 დეკემბერს გაიმართება.

გოგი ახვლედიანის



## ვითომ ჯორდი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა

ამ ზაფხულს ევრო-96-ზე მოთამაშე პატარა კრუიფს რომ ჰკითხეს, ზურგზე გვარი რატომ არ გაწერიაო, მან მედიდურად მიუგო: სირცხვილია ჰოლანდიის ნაკრებში ვინმეს ეწეროს ეს გვარი და არ ამძიმებდეს, ამიტომაც ჩემი ჯორდი მირჩევნიაო. გამოხდა ხანი და პატარა კრუიფი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ვიხილეთ. ზურგზე მამისეული № 14 დაუკრავს და გვარსაც აღარ მორიდებია, კრუიფი მოურგია. იფიქრებთ, დიადი გვარი და ნომერი ამძიმებსო, მაგრამ საქმე ასე არ არის.

ხორდი ესპანელებისთვის სახელია. ჯორდი — ინგლისელებისთვის, ამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის მცხოვრებსა ჰქვია. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ჯორდის ხშირად ისე წარმოთქვამენ, რომ ამ სიტყვის ქვეშ სოფლელს (უცუდესი გაგებით), პროვინციელს, ტუტუცს, რქიანსა და ქაჯს გულისხმობენ. ამიტომაც დიდად ორაზროვანი რამ არის, კაცი რომ ინგლისურ მინდორზე გამოდის და ზურგზე ჯორდი აწერია.

ნამდვილ ჯორდებს კი ამით არაფერი აკლდებათ. თუმცა ძალიან ბრაზობენ, როცა ცუდი გაგებით უწოდებენ ჯორდს. სხვაფრივ ეს გახლავთ დაუზარელი, მხიარული, უეშმაკო და ახირებული ხალხი. საფეხბურთო სამყაროში, რამდენადაც მსმენია, ოთხი განთქმული ჯორდი მოღვაწეობს: „ბარსას“ მწვრთნელი ბობი რობსონი, თავად ჯორდითა დედაქალაქის გუნდის მწვრთნელი კევინ კიგანი, გლაზგოში მოთამაშე კაცი, მგონი პოლ გესკოინი რომ ჰქვია და ინგლისის ნაკრების კაპიტანი ალან შირერი.

ჯორდის ზეობა-მეთქი და არცთუ ტყუილად. ალან შირერი ხომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი შეიქნა! 17 წელია ინგლისელი ამ ტიტულს არ დაუფლებია და იცი მკითხველო, ეს 17 წელიწადი რა 17 წელიწადია? მთელი საუკუნეა, მოკლედ. ევროპის საუკეთესოობა ამ 17 წელიწადში მსოფლიო საკუთრება გახდა. ივარგეს რუსებმა, ზანგებმა, სურინამელებმა და უცებ ჯორდი.

მე ნიუკასლელი „ჯეშტიანჩიკის“ ბიჭი ვარ, მე ყოველთვის აქაურად ვგრძნობდი თავს — უთქვამს საჯორდეთის, ტინსაიდის გულისგულში დაბრუნებულ შირერს. მართლაც ასე იყო. ამ პირდაპირ და მხიარულ მობურთალს, ცალხელაღმართული რომ ზეიმობს ხოლმე გამარჯვებას, თამაში უპირველესად მშობლიურ ალაგას აუხარია.

ბოროტი ენები ამბობენ, ალან შირერი კარგად შენიღბული გაზაა, ახირებული კაცი, რომელიც იმიტომ არ გამოხატავს თავის ჯორდულ ხასიათს ხმაურით, რომ ჭკვიანი ბიჭია და თავს იკავებსო. მაგრამ ამას არანაირი კავშირი არა აქვს ფეხბურთთან.

ძალიან გამიკვირდა, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე — ევროპული მედია არ სწყალობს ხოლმე შირერის ყაიდის ფეხბურთელებს. მაგრამ ჩანს, დრო გამოიცვალა.

ვინ არის ჩემთვის ალან შირერი?

ერთი შეხედვით, შირერი ბილი რაიტის ეპოქის ფეხბურთელსა ჰგავს. თავისი მოყვანილობით, იერით და მოძრაობით შირერი ძველი ინგლისური ყაიდის მოთამაშეა. იმ დროის კაცსა ჰგავს, თავდამსხმელებს რომ ცენტრფორვარდს უწოდებდნენ და გუნდში ერთადერთ გამტანად ესახებოდათ.

მეორე მხრივ, შირერი ძალიან თანამედროვე და საოცრად სწრაფი ვინმეა აზროვნებითაც და მოქმედებითაც. დღეს იშვიათია ფეხბურთელი, რომელიც ამგვარად ირჩევდეს პოზიციას და ასე ზუსტად ურტყამდეს კარში.

აჰ, შირერის დარტყმები. ეს საერთოდ ცალკე თემაა. სწორედ მისი დარტყმები გაახსენებს კაცს ძველი დროის ინგლისელ ფეხბურთელებს. ამ დარტყმაში არ არის აქცენტი ეშმაკობასა და მოხერხებაზე, არამედ გასაოცარ სიზუსტეზე.

ინგლისური ლიგა უხვგოლიანი რამ არის და მაინც გასაკვირია ბოლო 3 წელიწადში შირერის მიერ გატანილი გოლების რაოდენობა.

ისევ გავიმეორებ — შირერის გოლები დღევანდელი ფეხბურთის მშვენებაა, მაგრამ მათ შორის საუკეთესონი ისე მოხდენილად, განუმეორებლად და ხვედისმომგვრელად გახსენებს წარსულს, რომ...

გაუმარჯოს მხიარულ ჯორდის (კარგი გაგებით)!

P. S. ევებ შირერი მართლაც გახდეს ევროპაში საუკეთესო, ჰა? თანაც, 17 წლის წინ ასეთი ხომ ჯორდი გახლდათ.


# CROCO
# ქუთაისში

საქართველოს დასავლეთ დედაქალაქში მუშაობს სპორტული ლატარია "CROCO"

ამიერიდან ქუთაისელები და ქუთაისის სტუმრებიც ისარგებლებენ:

- *ყველაზე მაღალი კოეფიციენტებით*
- *ყველაზე მოქნილი და ხელსაყრელი წესებით*
- *ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამით*
- *ყველაზე ოპერატიული და დეტალური ინფორმაციით*

და, რა თქმა უნდა, მოგებული თანხის დაუყოვნებლივ მიღების სრული გარანტიით!

მისამართი: ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №16
დასავლეთ საქართველოს ტელერადიოკორპორაცია „იმერიონის“ შენობა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### შოტლანდია. XVII ტური.

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — მოზერველი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| რეით როვერსი — სელტიკი | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| კილმარნოკი — ჰარტსი | 2,5 | 2,5 | 2,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ნიუკასლი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| დერბი ქაუნთი — ევერტონი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ლივერპული — ნოტინგემი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| შეფილდ უენსდეი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,2 | 2,5 | 2,5 |

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანდერლენდი — ჩელსი | 2,7 | 2,7 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური.

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ტრანმერი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბირმინგემ სიტი — ვესტ ბრომვიჩი | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ბოლტონი — იფსვიჩი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| მანჩესტერ სიტი — გრიმსბი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ქუინზ პარკი — საუთენდი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სტოკ სიტი — სვინდონი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ვულვერჰემპტონი — ოლდემი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჩარლტონი — პორტ ვეილი | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| ბრედფორდი — რედინგი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ნორვიჩი — კრისტალ პალასი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი | 3,2 | 2,6 | 1,8 |
| პორტსმუთი — ჰადერსფილდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### იტალია. სერია A. XIII ტური.

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — პიაჩენცა | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| კალიარი — ბოლონია | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ინტერი — სამპდორია | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| იუვენტუსი — ვერონა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| პერუჯა — ლაციო | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| რეჯანა — მილანი | 4,7 | 3,1 | 1,4 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რომა — ნაპოლი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ვიჩენცა — პარმა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 1,8 | 2,6 | 3,2 |

### იტალია. სერია B. XIV ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯენოა — ბრეშია | 1,7 | 2,7 | 3,4 |

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ვენეცია | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| დი სანგრო — ლუკეზე | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| კიევო — ტორინო | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| პალერმო — რეჯინა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| კოზენცა — პესკარა | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| კრემონეზე — ჩეზენა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ემპოლი — ფოჯა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| რავენა — პადოვა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| სალერნიტანა — ლეჩე | 3,1 | 2,7 | 1,8 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კვიპროსი — ბულგარეთი | 7,0 | 4,0 | 1,15 |
| 1:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |
| ესპანეთი — იუგოსლავია | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| ბელგია — ჰოლანდია | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| მაკედონია — რუმინეთი | 6,0 | 3,1 | 1,3 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| პორტუგალია — გერმანია | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| ჩრდ.ირლანდია — ალბანეთი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისრაელი — ლუქსემბურგი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 3,7 |
| 0:2 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| უელსი — თურქეთი | 3,8 | 2,8 | 1,6 |
| არგენტინა — ჩილე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბოლივია — პარაგვაი | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| ურუგვაი — პერუ | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ვენესუელა — კოლუმბია | 7,0 | 4,0 | 1,5 |
| 1:0 | 3,0 | 3,4 | 1,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფსონები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

| გერმანია | | თურქეთი | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,5 | გალათასარაი | 2,2 |
| დორტმუნდი | 2,5 | ტრაბზონსპორი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 | ფენერბაჩე | 2,5 |
| შტუტგარტი | 5,0 | ბეშიქთაში | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |
| **ინგლისი** | | **იტალია** | |
| ლივერპული | 2,5 | იუვენტუსი | 1,7 |
| არსენალი | 2,8 | ინტერი | 2,2 |
| ნიუკასლი | 2,8 | მილანი | 4,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 | რომა | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |
| **საფრანგეთი** | | **ჰოლანდია** | |
| პარი სენ-ჟერმენი | 1,8 | ეინდჰოვენი | 1,3 |
| მონაკო | 1,8 | ფეიენოორდი | 2,8 |
| ბორდო | 6,0 | აიაქსი | 7,0 |
| ოსერი | 8,0 | დანარჩენი | 10,0 |
| ნანტი | 8,0 | **ბელგია** | |
| დანარჩენი | 10,0 | ბრიუგე | 1,7 |
| **ესპანეთი** | | სტანდარდი | 2,8 |
| ბარსელონა | 1,8 | ანდერლეხტი | 5,0 |
| რეალი | 1,8 | მუსკრონი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |
| **პორტუგალია** | | **ავსტრია** | |
| პორტუ | 1,4 | რაპიდი | 1,25 |
| ბენფიკა | 2,7 | ზალცბურგი | 3,1 |
| სპორტინგი | 6,0 | ტიროლი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 | აუსტრია | 8,0 |
| **შვეიცარია** | | დანარჩენი | 10,0 |
| ქსამაქსი | 1,5 | **შოტლანდია** | |
| გრასჰოპერი | 2,0 | რეინჯერსი | 1,15 |
| სიონი | 7,0 | სელტიკი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |

### ფსონები ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE — UEFA Cup Winners' Cup — UEFA UEFA CUP

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | ბარსელონა | 2,5 | ინტერი | 2,5 |
| მანჩესტერი | 4,5 | ლივერპული | 2,5 | ნიუკასლი | 2,5 |
| დორტმუნდი | 4,5 | პარი სენ-ჟერმენი | 4,0 | ვალენსია | 5,0 |
| აიაქსი | 5,5 | ფიორენტინა | 4,0 | მონაკო | 5,0 |
| პორტუ | 6,0 | ბენფიკა | 7,0 | ტენერიფე | 6,0 |
| ატლეტიკო | 7,0 | აეკი | 10,0 | შალკე | 8,0 |
| ოსერი | 10,0 | აიკი | 50,0 | ანდერლეხტი | 10,0 |
| რუსენბორგი | 50,0 | ბრანი | 50,0 | ბრონდბიუ | 15,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## CROCO-2

### ტირაჟი №04

1. ესპანეთი — იუგოსლავია
2. ბელგია — ჰოლანდია
3. პორტუგალია — გერმანია
4. ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი
5. უელსი — თურქეთი
6. არგენტინა — ჩილე
7. ბოლივია — პარაგვაი
8. ურუგვაი — პერუ

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ტანვარჯიში

# ნიჭი, ჭამიკო... არ კმარა

წელი, მიილია და ამ ადამიანის მოგონილ მიჯნაზე, ასეა თუ ისე, ადამიანი მაინც აჯამებს ყველაფერს, რაც ამ მიჯნამდე იმ, წინა მიჯნიდან მოიტანა. ჩვენში კი ამ დროის შეგრძნება კიდევ უფრო გამძაფრებულია, რადგან ამ დუხჭირ ზამთარში უფრო განსჯის დრო დგება, ვიდრე ქმედების. ჰოდა, ჩვენც ტანმოვარჯიშეთა-წლევანდელ მონაგარზე გვინდა ვისაუბროთ, უფრო ზუსტად, ყველა იმ სახეობის წარმომადგენლების მიღწევებზე, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის გამგებლობაში რომ არიან. ამიტომაც ვესაუბრეთ ამ ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ომარ ღონღაძეს.

**— ოლიმპიური წელი იყო და ოლიმპიადით ხომ არ დაგვეწყო?**

— ოლიმპიადის შესახებ, ასე თუ ისე, ბევრი დაიწერა. ჩვენგან ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში: ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე და მხატვრული ტანმოვარჯიშე ეკა აბრამია, რომელთა გამოსვლას ჩვენმა სპორტულმა ხელმძღვანელებმა იმედისმომცემი უწოდეს. და ეს, ალბათ, ასეცაა — ამ ნიჭიერ სპორტსმენებს ჯერ ყველაფერი წინ აქვთ.

**— მაგრამ ოლიმპიური წელი მარტო ოლიმპიადით არ ამოიწურებოდა...**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ამ რთულ პირობებშიც მოვახერხეთ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და ზოგან წარმატებებიც მოვიპოვეთ.

ტანმოვარჯიშეებიდან დავიწყოთ. სტამბოლში, ბოსფორის სრუტის თასზე ილია გიორგაძემ მრავალჭიდში გაიმარჯვა და ცალკეულ იარაღებზეც სამი მედალი მოიპოვა, ალექსანდრე თვაური კი მე-10 იყო. რუმინეთში, სადაც შავი ზღვის აუზის თასს ძალზე ძლიერი სატანვარჯიშო ქვეყნები (რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი და სხვა) ეცილებოდნენ ერთმანეთს, გიორგაძემ თავისუფალ ვარჯიშში პირველობა არავის დაუთმო (მრავალჭიდში გამარჯვებული არ ვლინდებოდა), ტაიჭზე მეორე იყო, თვაურმა კი ღერძზე მესამე ადგილი დაიკავა. ევროპის ჩემპიონატის ფინალში გიორგაძე მრავალჭიდში მე-12 ადგილს დასჯერდა, ამერიკაში ჩატარებულ „მსოფლიო ვარსკვლავების" ტურნირში კი, მრავალჭიდში და ორძელზე მე-3 იყო, თავისუფალ ვარჯიშში — მე-2.

ბატუტზე ჩვენი ცნობილი მხტომელების — რუსუდან ხოფერიას, ანა დოლიძის და ლია ბენდიანიშვილის გამოსვლების შესახებ „სარბიელი" ახლახან გაუწყებდათ და ამით თავს აღარ შეგაწყენთ. მხოლოდ დავამატებ, რომ მშვენივრად გამოვიდნენ უმცროსი თაობის მოხტუნავეებიც მოსკოვის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც სხვადასხვა ასაკის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. თავიანთ ასაკში პირველი ადგილები დაიკავეს თეონა ტყებუჩავამ, თენგიზ კოშკაძემ, ელა აირაპეტოვამ, ოლეგ კოლოსოვმა, რობერტ ლეონტიევმა, ნატო ჩიტაურმა, მეორე ადგილები — ლუბა გოლოვინამ, თამაზ ყორყოლიანმა, მე-3 — საშა მარტინჩუკმა. ჩვენებმა სინქრონულ ხტომებშიც ისახელეს თავი: ჩიტაურმა და ირმა სიბოშვილმა, ლეონტიევმა და ნიკა მჭედლიძემ პირველობა მოიპოვეს, გიორგი კენჭაძისა და უჩა ცუცქირიძის დუეტი კი მე-3 იყო.

პოლონეთის ქალაქ შჩეცინის ტურნირზე მხატვრული ტანმოვარჯიშე ინგა თავდიშვილი მე-4 ადგილზე გავიდა, ვლადიმირში კი მეორე იყო მრავალჭიდში და გურზებით ვარჯიშში, პირველი — სახტუნელათი და ლენტით ვარჯიშში.

აკრობატთა მსოფლიო ჩემპიონატზე, გერმანიის ქალაქ რიეზაში რომ გაიმართა, ბენიანი-ზარინას ქალთა წყვილი მე-12 ადგილს დასჯერდა, პატარიძე-ცაგარელი-კენჭაძის ქალთა სამეული — მე-13-ს, ვაჟთა ხტომებში ფხიკიძე მე-20 იყო.

**— ჩვენს პირობებში როგორ ახერხებთ ტურნირებზე გამგზავრებას?**

— რა თქმა უნდა, სპორტდეპარტამენტი გვეხმარება, განსაკუთრებით, როცა მნიშვნელოვან ტურნირებზე ასპარეზობა გვიწევს. სხვებიც დაგვეხმარნენ — თურქეთში და რუმინეთში საქართველოს საზღვაო სანაოსნომ გაგვამგზავრა, აგრეთვე შეგვეწივნენ „ჯორჯიანტრანზოილი", ფოთის პორტი, თბილისელი ბიზნესმენი თამაზ სულაძე, აჭარის ხელმძღვანელობა. სიტყვამ მოიტანა და, დიდი მადლობელი ვართ მათი, ისევე, როგორც ოლიმპიური კომიტეტის, რომელმაც ჩვენს ოლიმპიელებს სტიპენდიები დაუნიშნა.

**— პრობლემები?**

— აუჰ, რომელი ერთი ვთქვა. თავად ხედავთ, რა საყინულეა ჩვენთან. და აი, ასეთ სიცივეში ვარჯიშობენ სპორტსმენები. ძალზე გვიჭირს ზამთრის გადატანა. ერთადერთი დარბაზი, რომელიც თბება, ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის დარბაზია. ტანმოვარჯიშეებს ძალზე დიდი ყურადღება სჭირდებათ, დღეში ორჯერ მაინც უნდა ივარჯიშონ. საჭიროა, იქვე ჰქონდეთ აღდგენითი ცენტრი, გარდა ამისა, მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს მოკლებული ვართ.

შემდეგი პრობლემა — ინვენტარი. ასეთ იარაღებზე, ჩვენ რომ გვაქვს, აღარავინ ვარჯიშობს. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ახალი ოლიმპიური ციკლის დაწყებისას, შეჯიბრებაზე სრულიად ახალი იარაღებია ხოლმე, ჩვენ კი ძველთაძველ ინვენტარზე გვიხდება მუშაობა. ეს უამრავ პრობლემას ქმნის. ჩვენს იარაღებზე ნავარჯიშევ სპორტსმენებს საკმაო დრო სჭირდებათ, უცხოეთში ახალ, თანამედროვე იარაღებზე ვარჯიშს რომ შეეგუონ და ეს მნიშვნელოვნად მოქმედებს მათ სპორტულ შედეგებზე.

გვაკლია საშეჯიბრო პრაქტიკაც. სპორტსმენი წელიწადში შვიდ-რვა ტურნირში მაინც უნდა მონაწილეობდეს. ჩვენები კი პირდაპირ მსოფლიო ჩემპიონატზე ან ოლიმპიადაზე ხვდებიან და ეს წინ ვერ წაგვიყვანს.

რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზობებს. კარგა ხნის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ, თუ ძლიერი მსაჯები არ გვყავს საერთაშორისო ასპარეზზე, წარმატებების მიღწევა ძალზე გაგიძნელდება. ასეთი გუნდი უპატრონოდაა დარჩენილი საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომ მაღალკვალიფიციური მსაჯების აღზრდაცაა საჭირო. ამისთვის ჩვენმა მსაჯებმა საერთაშორისო ტურნირებზე უნდა იმსაჯონ.

**— როგორც ვხედავ, პრობლემებს ბოლო არ უჩანს და მაინც, რომელია უმთავრესად მოსაგვარებელი?**

— რაც ჩამოვთვალე, ყველაფერი მოსაგვარებელია, მაგრამ უმთავრესი მაინც ბავშვთა სპორტსკოლებია. სპორტსმენმა თუ ბავშვობიდან არ გაიარა სათანადო სკოლა, მერე რაიმე წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო სპორტსმენის აღზრდის მკაცრად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელსაც წარმატებებიც მოჰქონდა. საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, აღარავის უნდა, მაგრამ ის სისტემა კი ამართლებდა. იყო ბავშვთა სპარტაკიადები, შეჯიბრებები, სწორედ აქ იზრდებოდა ახალგაზრდა სპორტსმენი. თანაც, ტანვარჯიში ისეთი სპორტია, სადაც მარტო მწვრთნელი ვერაფერს გახდება. ტანვარჯიშს ქორეოგრაფიც სჭირდება, ექიმიც, რომლებსაც უნდა გაეგებოდეთ, რა ხდება თანამედროვე ტანვარჯიშში. ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ არ გვყავს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, მაგრამ თუ ისინი საქართველოს გარეთ არ გავიდნენ, როგორ უნდა აღიზარდონ? მეორეც, დაბალი ანაზღაურების გამო ბევრმა მწვრთნელმა შეიცვალა პროფესია, ბევრიც საზღვარგარეთ წავიდა. კარგი სპორტსმენი კი ვინ უნდა აღზარდოს, თუ არა კარგმა მწვრთნელმა?

**— ეს ოლიმპიადა გარკვეულო გაყვეთილი იყო ჩვენთვის. როგორ ფიქრობთ, გამოსწორდება საქმე?**

— ახლა ქვეყანას უჭირს და, ბუნებრივია, ეს ძნელი იქნება. ისე, სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, ყოველ შემთხვევაში, მონდომება და სურვილი იმისა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს, არის. ახლახან სპორტდეპარტამენტმა იმერეთის რეგიონის მწვრთნელები შეკრიბა და ყველა მათი პრობლემა ალნუსხა. აჭარაში პარლამენტის წევრად აირჩიეს ჩვენი ცნობილი სპორტსმენი რუსუდან სიხარულიძე, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს, საქმე რომ წინ წავიდეს. ტანვარჯიშის დარბაზს ბატონი ასლან აბაშიძეც ეწვია და სპორტსმენთა პრობლემებით დაინტერესდა. თუ მან მოჰკიდა საქმეს ხელი, ალბათ, მდგომარეობა მალე გამოკეთდება.

**— სიტყვამ მოიტანა და, ტანვარჯიშის სახეობათა გეოგრაფია როგორია?**

— თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი. ადრე მრავალგან ისწავლებოდა, როგორც თბილისში. მაგრამ უკეთესი მდგომარეობა იმედს გვაძლევს. ქუთაისში, სტადიონის კომპლექსში შენდებოდა სპორტული დარბაზი, ნახევრად აშენებულიც იყო. თუ მისი დამთავრება დიდხანს არ გასტანს, ეს ძალზე წაადგება ჩვენს საქმეს.

**— ესე იგი, ახალ ოლიმპიურ ციკლს შეიძლება იმედით შევხედოთ?**

— მთლად ასეც არ არის. ოლიმპიელი ოთხ წელიწადში არ იზრდება. მაღალი კლასის სპორტსმენის აღზრდას 8-10 წელი მაინც სჭირდება. ამიტომ ფორსირება არ არის მიზანშეწონილი, გეგმაზომიერი მუშაობა უნდა წარიმართოს. იანვრიდან ტანვარჯიშში სრულიად იცვლება ვარჯიშები, მათ არაფერი საერთო არ ექნებათ იმ ვარჯიშებთან, რომლებითაც სპორტსმენები წინა ოლიმპიადაზე ასპარეზობდნენ. ამ ახალი, ბევრად რთული ვარჯიშების ათვისებას კი ახალი მიდგომა სჭირდება. საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს ჩვენი საქმიანობა, უპირველესად კი, როგორც ვთქვი, ბავშვებთან მუშაობა. თუ ბავშვთა სპორტსკოლები სრულფასოვნად არ ამუშავდნენ, გეგმაზომიერი წარმატება არ გვექნება და ყოველთვის ერთი-ორი ტალანტის მოლოდინში ვიქნებით, რაც შექმნის ილუზიას, რომ ყველაფერი რიგზეა.

**— ამ ბავშვებში თუ გვგულებათ მომავალი დიდი სპორტსმენები?**

— პირობები იყოს, თორემ ნიჭიერ ბავშვებს რა გამოლევს. ასეთები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან. ცოტა გვყოლია ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში თუ ბატუტზე ხტომაში? ჰოდა, თუ ყველა პრობლემას მოევლო, ოლიმპიადებიდან და მსოფლიო ჩემპიონატებიდან ყოველთვის წელგამართული დავბრუნდებით.

ჯერჯერობით კი... 16 დეკემბერს ქართველი ტანმოვარჯიშეები მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრებიან საასპარეზოდ.

**ქოტე მგალობლიშვილი**

კარატე

# კარატისტებო ყველა სტილისა, შეერთდით!



საქართველოს კარატე დოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატს სპორტდეპარტამენტის და ვერის საკალათბურთო დარბაზებმა უმასპინძლეს. უმცროსებში 150 მონაწილე სცდიდა ძალას, უფროსებში — 60-მდე. სანამ ჩემპიონატზე მოგახსენებდეთ, მისი ჩატარების წინაპერიოდზე გეტყვით: ახალჩამოყალიბებული საქართველოს კარატე დოს ფედერაცია წელს სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს კარატე დოს ფედერაციის (FMK) წევრად მიიღეს. ამ ფაქტით ფრთაშესხმულმა ქართველ კარატისტებმა პირველი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება არ დააყოვნეს. ამჟამად ფედერაციაში გაერთიანებულია ვადო ასოციაცია (პრეზიდენტი თემურ ჯორჯაძე), შიტო რიუ (თემურ რამიშვილი), გოჯუ კაი (ოთარ გრძელიშვილი) და შოტო კანი (კახა ბასილია). კარატეში მეტნაკლებად გათვითცნობიერებულმა კაცმა იცის, რომ ამათ გარდა კიდევ არსებობს შოტო კანის (ზურაბ ლეჟავა), ოკინავური გოჯუ რიუს (პაატა ჭელიძე) და შიტო კაი შიტორიუს ფედერაცია (მიხეილ ასათიანი). პირველი ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზატორთა თქმით, მათ წინასწარ უცნობებიათ ზემოთ ჩამოთვლილი ფედერაციებისთვის ჩემპიონატის შესახებ და მოუწვევიათ, მაგრამ მათ მონაწილეობაზე უარი განუცხადებიათ. ქართული კარატეს შინაურ საქმეებში ჩარევა ჩვენ არ გვეკითხება, ამიტომ ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ და პირველ ჩემპიონატზე გიამბობთ, რომელიც, ჩემი აზრით, ჩინებულად იყო ორგანიზებული: ორთაბრძოლებს ორივე დღეს ვესწრებოდი და შესაშური წესრიგი და მონდომება დავინახე, რაც, უდაოდ, კარატე დოს ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი ბარამიძის, გენერალური მდივნის ირაკლი ნარმანიასა და ჩემპიონატის მთავარი მსაჯის თემურ რამიშვილის დამსახურება გახლდათ. საბედნიეროდ, არც მძიმედ დაშავებულა ვინმე. ჩემპიონატს ქუთაისიდან, კასპიდან, რუსთავიდან, თელავიდან და სხვა ქალაქებიდანაც ეწვივნენ მონაწილენი. ორთაბრძოლები კუმიტეში მეტად უშეღავათოდ მიმდინარეობდა, განსაკუთრებით უფროსებში. ნახევარფინალებში და ფინალებში ლამის ყველა ბრძოლის ბედი დამატებითმა დრომ გადაწყვიტა. მსაჯთა კოლეგია ფხიზლად ადევნებდა თვალს, რათა რომელიმე მოწინააღმდეგეს შეგნებულად არ მიეყენებინა ტრავმა მეტოქისთვის. ზოგი კარატისტი შეგნებულად დარტყმის გამო მოხსნეს კიდეც. ასევე მკაცრად ისჯებოდა არასწორად შესრულებული ილეთი.

**მამუკა ქვარაცხელია**

**ჩემპიონები და პრიზიორები**

იუნიორები. კუმიტე. გოგონები

**10-13 წ. 1. თამარ ჩანადირი 2. ელენე ჩანგიშვილი 3. მაკა მარქარაშვილი 4. ნათია გიორგანაშვილი**

**14-17 წ. 1. ანჟელა კიხკენიძე 2. თინა მერაბიშვილი 3. ნანა ლვინიაშვილი 4. გაიანე გიგაური**

ვაჟები. კუმიტე.

**10-13 წ. 33 კგ-მდე 1. ლევან ტოგონიძე 2. ალეკო გოდერიძე 3. კახა დათიაშვილი 4. დათო ჩხენკელი**

**10-13 წ. 33 კგ-ზევით 1. ბექა მურუხიძე 2. ლევან ჯულაყიძე 3. ალეკო კეკენაძე 4. ლევან ჩავლეიშვილი**

**12-13 წ. 42 კგ-მდე 1. თორნიკე ხუციშვილი 2. ხოხო ხადლობელაშვილი 3. ლევან პაპიაშვილი 4. ჯონი ნოზაძე**

**12-13 წ. 42 კგ-ზევით 1. ზურაბ ბეროშვილი 2. დათო ქუთათელაძე 3. გიორგი ოთიაშვილი 4. გიორგი ხუნდაძე**

**14-15 წ. 54 კგ-მდე 1. მიშა ჯიშკარიანი 2. გიორგი შიოშვილი 3. გიორგი ყურუშაძე 4. გია ნანობაშვილი**

**14-15 წ. 54 კგ-ზევით 1. ხერგო ბონდარენკო 2. გოგი გილიკაშვილი 3. აჩიკო ბებურიშვილი 4. მიშა ახლანაშვილი**

**16-17 წ. 60 კგ-ზევით 1. გია ნადირაძე 2. ირაკლი დაშნელი 3. გოგა ჭიტაძე 4. გიორგი ყარაშვილი**

კატა. ვაჟები

**1. ირაკლი დაშნელი 2. ბაჩანა ანდღულაძე 3. მიშა ჯიშკარიანი 4. შალვა ხუხაშვილი**

გოგონები

**1. მაკა გაჩეჩილაძე 2. გაიანე გიგაური 3. თამრიკო ჩანადირი**

ვაჟები. კუმიტე (18 წელს ზევით)

**60 კგ-მდე 1. გოჩა ვალიშვილი 2. ირაკლი ლაშხი 3. მიხეილ გაჩეჩილაძე 4. ლევონ გაზარიანი**

**65 კგ-მდე 1. მალხაზ ჭუმბურიძე 2. ზურაბ ბლიაძე 3. ჯონი ბიტკაში 4. ლაშა ორჯონიკიძე**

**70 კგ-მდე 1. კობა ცერცვაძე 2. ბაჩო ხივხივაძე 3. ჯაბა მეტრეველი 4. მერაბ ქემერტელიძე**

**75 კგ-მდე 1. რამაზ ხახვაძე 2. ოთარ დოლიძე 3. მიხეილ მახარაძე 4. ზურაბ ქოხაშვილი**

**80 კგ-მდე 1. კახა დვალაძე 2. რამაზ ჯანაშვილი 3. გოჩა ანთია 4. დათო ხუხაშვილი**

**80 კგ-ზევით 1. ზაზა ბერიშვილი 2. მინდია გუგეშაშვილი 3. გიორგი ყიახაშვილი 4. მამუკა დავითიშვილი**

ქალები. კუმიტე.

**53 კგ-მდე 1. ნატო ანთიძე 2. ნაირა გიორგანაშვილი 3. ირა პირზადიანი 4. ილონა პირზადიანი**

**60 კგ-მდე 1. მანანა ბიჩინაშვილი 2. მაია ევდოკიმოვა 3. ოლგა კორინეცკაია 4. ნონა ლვინიაშვილი**

**60 კგ-ზევით 1. თინა მერაბიშვილი 2. ირინა ჯულუხაძე**

კატა. ვაჟები (18 წელს ზევით)

**1. გოჩა ვალიშვილი 2. მალხაზ ჭუმბურიძე 3. გიორგი ყიახაშვილი 4. არტური მალხასიანი**

ქალები

**1. ნაირა გიორგანაშვილი, 2. ქეთი ქობალია 3. ნინო იაშვილი 4. ოლგა კორინეცკაია**

გუნდური. ვაჟები

**1. შიტო-რიუ 2. გოჯუ-კაი 3. შოტო-კანი**

გუნდური. ქალები

**1. შოტო-კანი 2. გოჯუ-კაი**

გუნდური კუმიტე

**1. შოტო-კანი 2. ვადო-რიუ 3. შიტო-რიუ 4. გოჯუ-კაი**

ჭიდაობა

# ბიჭებმა ჯიბის ფული გააკეთეს

ალბათ, სპორტის არცერთი სახეობის მიმდევარნი არ არიან ტრადიციების ისეთი ერთგულნი, როგორიც მოჭიდავენი. თუ მოჭიდავეს ცხოვრებაში გაუმართლა და ვაჟიშვილის მამა გახდა, სახელის დარქმევამდე იმას ფიქრობს, რომელ მწვრთნელს მიჰგვაროს პირმშო აღსაზრდელად, რათა სახელოვანი მოჭიდავე გაეზარდოს. ამიტომაც, ჭიდაობის საშინაო ტურნირებს იმდენი სახელოვანი ფალავანი ესწრება საკუთარ შვილთა და ნათესავთა საქომაგოდ, თვალს უხარია. თუმცა, ამაზე ქვემოთ, ახლა კი მოგითხრობთ მოჭიდავეთა კიდევ ერთ საინტერესო ტურნირზე, რომელიც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციისა და სპორტსაზოგადოება „მართვეს" შემწეობით საქართველოში პირველად ჩატარდა. ვაკეში, ფალავანთა კლუბის საჭიდაო დარბაზში, თავისუფალი სტილის თხუთმეტმა უძლიერესმა ახალგაზრდა ფალავანმა მოიყარა თავი — ბიჭები საქართველოს ახალგაზრდათა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს ეცილებოდნენ ერთმანეთს. ყველაზე მძიმე მონაწილე 120 კგ. იყო, ხოლო ყველაზე მსუბუქი — 85. ესაც აბსოლუტური ჩემპიონატების ერთგვარი აუცილებელი პირობაა.

ასპარეზობის დაწყებისთანავე ჩვენი საამაყო ფალავნების — ვახტანგ ბალავაძისა და დავით ციმაკურიძის ხილვისას, ვიფიქრე, ეს ბუმბერაზი მოჭიდავეები აქ დროს ტყუილად არ გაატარებენ, ეტყობა, ღირს ეს ტურნირი საცქერლად-მეთქი. არც შევმცდარვარ. წრიული სისტემით გამართული ასპარეზობა საინტერესო ორთაბრძოლებით გამოირჩეოდა. იშვიათი შემთხვევაა: ტურნირს კი ჰყავდა თავისი ფავორიტები, მაგრამ აუტსაიდერები, ფაქტიურად, არ იყვნენ. ყველა მონაწილისგან სიურპრიზი იყო მოსალოდნელი და ამიტომაც შერკინებები მეტად დაძაბული და უშეღავათო გახლდათ. მაგრამ, ჭიდაობა მაინც ლოგიკური სპორტია და ამჯერადაც ძლიერმა იმარჯვა. თბილისელმა ალექსი მოდებაძემ თანაქალაქელ დავით ტურაშვილს სძლია მინიმალური უპირატესობით და ახალგაზრდებში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ალექსი მოდებაძე ცნობილი ფალავნის, ევროპის ჩემპიონ ნოდარ მოდებაძის ვაჟია. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში შოთა ბილანიშვილმა (ყვარელი) დავით ოთიაშვილს (თბილისი) აჯობა. არატრადიციულად, მაგრამ მაინც, აქ მეხუთე ადგილის მაძიებლებიც შეეტოქნენ ერთმანეთს — სოხუმელმა ლევან ცაგურიამ თბილისელ გიორგი ცნობილაძეს მოუგო. კვლავ დავძენ, რომ ალექსი მოდებაძისგან დაწყებული გიორგი ცნობილაძით დამთავრებული ყველა, პრიზიორი სწორედ ჭიდაობის ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელია და ჭიდაობაში ღრმად ჩახედულ ქომაგებს უთუოდ ეხსომებათ ამ ტრადიციების ფუძემდებელთა ოდინდელი გამარჯვებები.

ტურნირი კომერციული იყო და I-VI ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა ფულადი ჯილდოებიც მიიღეს — ვინ საკმაოდ სოლიდური, ვინ, უბრალოდ, ჯიბის ფული.

**ლევან ჯავახიშვილი**


**იყიდება**

ოროთახიანი ბინა ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე

**ან**

**იცვლება**

ერთოთახიან ბინაზე თბილისში

ტელ. 60 58 84



**არქიტექტურული სტუდია გთავაზობთ:**

პროექტირება, მშენებლობა

დიზაინი, ინტერიერი

სახლები, ოფისები, მაღაზიები, ბანკები, ავტოგასამართი სადგურები, აგრეთვე ბუხრები და სხვა

ალ. ყაზბეგის გამ. №42, II კორპ, IV სართული
T: 99 03 15

## ევროპის თასი
X ტური. 10-11 დეკემბერი

### A ჯგუფი
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — სკავოლინი (იტალია) 63:72, რაბოტნიჩკი (მაკედონია) — ნობილესი (პოლონეთი) 86:88, პოლზელა (სლოვენია) — ასკ (ლატვია) 101:105

### B ჯგუფი
ზაგრები (ხორვატია) — ანტიბი (საფრანგეთი) 88:59, სენტ-პოლტენი (ავსტრია) — ჟალგირისი (ლიტვა) 66:70, ვოლტექსი (სლოვენია) — სლობოდა დიტა (ბოსნია) 97:79

### C ჯგუფი
რეალი (ესპანეთი) — ულმი (გერმანია) 97:77, მზტ (მაკედონია) — ბენფიკა (პორტუგალია) 75:73, ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) — პლევენი (ბულგარეთი) 118:110

### D ჯგუფი
ჰაგენი (გერმანია) — პსჟ (საფრანგეთი) 59:73, აპოელი (კვიპროსი) — პორტუ (პორტუგალია) 48:51, ჰაპოელ იერუსალიმი (ისრაელი) — ნიუ ვეივი (შვედეთი) 98:86

### E ჯგუფი
ზადარი (ხორვატია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 93:87, აქილეასი (კვიპროსი) — შლიონსკი (პოლონეთი) 83:100, გენტი (ბელგია) — ჰერცოგენ-ბოსი (ჰოლანდია) 94:84

### F ჯგუფი
აკვარიუსი (რუსეთი) — აპოლონი (საბერძნეთი) 87:105, სტავექსი (ჩეხეთი) — ბუდიველნიკი (უკრაინა) 93:102, სუნაირი (ბელგია) — უნივერსიტატია (რუმინეთი) 112:65

### G ჯგუფი
ავტოდორი (რუსეთი) — ტდკ (ესპანეთი) 82:80, ინტერი (სლოვაკეთი) — შახტიორი (უკრაინა) 93:90, ბეოცინი (იუგოსლავია) — ტორპან პოიატი (ფინეთი) 73:82

### H ჯგუფი
კიორმენდი (უნგრეთი) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 84:79, ფთთ (თურქეთი) — რიელო (იტალია) 74:64, ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ვითა (საქართველო) 93:56

მეთექვსმეტედფინალში, 14 და 21 იანვარს ერთმანეთს შეხვდებიან:

ვოლტექსი (სლოვენია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი), ანტიბი (საფრანგეთი) — ასკ (ლატვია), ნობილესი (პოლონეთი) — ზაგრები (ხორვატია), პოლზელა (სლოვენია) — ჟალგირისი (ლიტვა), ჰაგენი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი), ჰაპოელ იერუსალიმი (ისრაელი) — ულმი (გერმანია), ბენფიკა (პორტუგალია) — პსჟ (საფრანგეთი), მზტ (მაკედონია) — პორტუ (პორტუგალია), სტავექსი (ჩეხეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი), სუნაირი (ბელგია) — შლიონსკი (პოლონეთი), გენტი (ბელგია) — ბუდიველნიკი (უკრაინა), ზადარი (ხორვატია) — აპოლონი (საბერძნეთი), ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — ავტოდორი (რუსეთი), კიორმენდი (უნგრეთი) — ტდკ (ესპანეთი), ტორპან პოიატი (ფინეთი) — ფთთ (თურქეთი), ბეოცინი (იუგოსლავია) — რიელო (იტალია)

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 11 დეკემბერი
ბოსტონ სელტიქსი — ტორონტო რეპტორზი 115:113, შარლოტ ჰორნეთსი — დენვერ ნაგითსი 101:97, ნიუ ჯერსი ნეთსი — სიეტლ სუპერსონიქსი 110:101, ვაშინგტონ ბულიტსი — კლივლენდ კავალიერზი 106:95, მაიამი ჰითი — ფილადელფია-76 84:79, ჩიკაგო ბულზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 103:86, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — ინდიანა პეისერზი 79:76

### 12 დეკემბერი
ნიუ იორკ ნიქსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 90:79, ჰიუსტონ როკიტსი — დეტროიტ პისტონზი 115:96, მილუოკი ბაქსი — სიეტლ სუპერსონიქსი 100:97, ფინიქს სანზი — იუტა ჯაზი 95:87, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ვანკუვერ გრიზლიზი 99:78, საკრამენტო კინგზი — დალას მავერიქსი 93:86, ლოს ანჯელეს კლიპერზი — სან ანტონიო სპურზი 97:94

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ყველაზე იაფად და სწრაფად
(1 დღეში)
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)
რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39



# ჩია გოლიათი

### ძალოსნებო, ფიცარნაგზე გასვლის წინ მოშარდეთ!

სპორტსმენისთვის იმაზე დიდი უიღბლობა რა უნდა იყოს, ორჯერ გაემგზავროს ოლიმპიურ თამაშებზე ორჯერვე ლიდერად და ფავორიტად შერაცხული და ორჯერვე II ადგილი დაიკავო. უიღბლო კაცს ვერ ვუწოდებთ დიტო შანიძეს, მაგრამ მაინცდამაინც ოლიმპიურ ფიცარნაგებზე დარია ხელი უბედობამ. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებამდე ძალოსანთა თითქმის ყველა პრესტიჟული შეჯიბრება ჰქონდა მოგებული ქართველ ათლეტს, თანაც დიდი უპირატესობით, ევროპისა და მსოფლიოს რეკორდსმენიც იყო და სპეციალისტები და ჟურნალისტები ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებდნენ. მეხიკოში დიდი უპირატესობით აჯობა თურქებს, ბულგარელებს, რუს თუ სომეხ ემიგრანტ მძლეოსნებს და, ბოლოს, იაპონელ ძმებს — მიაგაკეებს შეეჭიდა. ამ სამ ათლეტს უნდა გადაეწყვიტა ოქროს მედლის ბედი. სამწუხაროდ, ერთ-ერთმა იაპონელმა იძალა და ლვიძლ ძმასა და შანიძეს მოუგო, მისი ძმა მესამე იყო, ბატონი დიტო კი იაპონელებს ჩაეზიარა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ოლიმპიადაზე პირველი წარუმატებლობა (II ადგილი თუ წარუმატებლობაა!) ყოველთვის ჭკუის სასწავლია სპორტსმენისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ჭკუა აქვს. ბატონი დიტოც გაათკეცებული მონდომებით ემზადებოდა მიუნხენის ოლიმპიადისთვის. ოლიმპიადებს შორის ოთხწლიან ციკლში იყო გამარჯვებებიც, რეკორდებიც, მარცხიც, მაგრამ სტაბილურმა სპორტსმენმა არ დათმო პოზიციები, ოლიმპიადაზე მარცხით ოდნავ შელახული სახელიც აღიდგინა და, აი, მიუნხენში მართლაც არავინ ელოდა სიუპრიზს: ნახევრად მძიმე წონის ძალოსნებში ჩემპიონად ყველას ერთი კაცი ესახებოდა — დიტო შანიძე. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ამჯერადაც ასე მოხდა. მიუნხენურ ფიცარნაგზე მეგზურობა თავად ბატონ დიტოს ვთხოვოთ.

— მე და გაბულგარელებულმა სომეხმა ნურიან ნურიაკიანმა ჩვენს წონაში ყველა მეტოქე ჩამოვიტოვეთ, ერთ-ერთს უნდა დარჩენოდა პირველკაცობა, მაგრამ ვის? პრინციპში, ფავორიტი მე ვიყავი, რადგან ოლიმპიადამდე 3-4 ტურნირში ზედიზედ ვძლიე ნურიაკიანს, არც ახლა ველოდი მისგან რევანშს და ბოლო ცდამდე ერთნაირი შედეგით მივედით.

ბოლო აკვრაში შტანგას თითო „ბლინი“ დავამატეთ — 1 კილოგრამი. მე იოლად დავძლიე, ნურიაკიანმა — რის ვაივაგლახით. ორივე მსაჯებთან მივედით. როგორც წესი იყო, 3 ცდის უფლება უნდა მოეცათ ორივესთვის და ბრძოლა გაგრძელებულიყო, მაგრამ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა (მათზე დიდი გავლენა ჰქონდათ ბულგარელებს) მსაჯი გაიხმეს და როცა დაბრუნდა, ასე გადაწყვიტა — მეც და ნურიაკიანიც უნდა ავეწონეთ და ვინც მსუბუქი აღმოჩნდებოდა, ჩემპიონიც ის გახდებოდა. დილით, საკონტროლო აწონვაზე ორივე ზუსტად ერთი წონისანი ვიყავით და გამაკვირვა მსაჯის ასეთმა გადაწყვეტილებამ, მაგრამ დავთანხმდი. აგვწონეს და მეტოქე ჩემზე 50 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა. ჰოდა, ოლიმპიური ოქროც მას არგუნეს. ასე დავრჩი უოქროსმედლოდ.

ბატონმა დიტომ მისი მარცხის მიზეზზე კი მოგვითხრო, მაგრამ მიზეზთა-მიზეზზე არაფერი უთქვამს. ამას მე გიამბობთ. ძალოსანთა შეჯიბრებაზე იშვიათად, მაგრამ მაინც, წონაში გრამებით განსხვავება წყვეტს მედლების ბედს. ეს ბულგარელებმაც კარგად იცოდნენ და ეშმაკურ ხერხსაც მიმართეს: ასპარეზობამდე ნურიაკიანს შარდმდენი საშუალება მისცეს, ცდათა შორის შესვენებაზე თუ წყლით პირს გაისველებდა, წამსვე საპირფარეშოს მიაშურებდა ხოლმე, ჩვენებური კი, გადაღლილი და გაოფლილი, აბა, ორ ყლუპ წყალს როგორ არ დალევდა. სვამდა და, მეტოქისაგან განსხვავებით, ირგებდა კიდეც. აი, სწორედ ასე „მოიმატა“ წონაში 50 გრამი და მოხერხებულმა ბულგარელებმა ჭიქა წყალზე ააგეს თავიანთი გამარჯვება.

### ნახტომისთვის ემზადება რობერტ შავლაყაძე... ოჰ, უკაცრავად, დიტო შანიძე

კარგა ხნის წინათ, რუსულ სპორტულ გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ძალოსანთან ლეონიდ ჟაბოტინსკისთან. კორესპონდენტმა მას რაიმე კურიოზის გახსენება სთხოვა. რუსმა ათლეტმა, ჩემს თავს გადამხდარი კურიოზი არ მაგონდებაო და ერთი მართლაც სასაცილო ამბავი გაიხსენა, დიტო შანიძეს რომ შეემთხვა, თან, ცოტა არ იყოს, შეფერილ-შელამაზებულად. მოდით, ამ ამბავს პირვანდელი ხიბლი დავუბრუნოთ და თავად კურიოზის მთავარ გმირს ვთხოვოთ წლების წინანდელის გახსენება.

— რადგან ასეა, ისევ მეხიკოს დავუბრუნდები. ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულიყო და ქალაქს ვათვალიერებდი. რადგან ოლიმპიელი ვიყავი და ყველა სპორტულ ობიექტზე მიმესვლებოდა, „აცტეკას“ სტადიონზეც შევედი. რატომღაც, მძლეოსანთა სახტომი სექტორისკენ გამიწია გულმა, სადაც ორმეტრიანი ზანგი ვარჯიშობდა, ამერიკელი იყო — სპორტულ ფორმაზე მოხატულ სიმბოლიკაზე შევატყვე. დადო ზანგმა თამასა და 160 სანტიმეტრზე გადახტა. არ ვიცი, რა ჟინმა მომიარა, გავიძრე სპორტული შარვალი, სპორტული ფეხსაცმელები კი მეცვა, გავექანე და გადავევლე თამასას. ამერიკელმა გოლიათმა ღიმილით ჩამომხედა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და 10 სანტიმეტრი მოუმატა. ამ საქმის პროფესიონალმა ეს სიმაღლეც იოლად დასძლია, მაგრამ არც მე ჩამოვრჩი „მეტოქეს“. ზანგს ახლა უკვე გაბრაზება დაეტყო, ეს ვიღაც 162 სანტიმეტრიანი ოხერი ხომ არ მამასხარავებსო და თამასა 190 სანტიმეტრამდე ასწია. ასწია და ლამაზად გადაევლო. წამოდგომა არ ვაცალე, გავექანე და ლეიბზე გვერდით მივუწექი. ორი ღერი ინგლისური ვიცოდი, 2 მეტრზე ვცადოთ-მეთქი, ვუთხარი. ძალიან გაბრაზებულმა ჩამომხედა, ერთი ზანგურად შემომიღრინა, თეთრი კბილები გამოაჩინა, გადაიცვა სპორტული ტანისამოსი, დაავლო სპორტულ ხელჩანთას ხელი და გასახდელს მიაშურა. ბოლოს შევნიშნე, რომ იქვე ახლოს ხალხი შეკრებილიყო და ჩვენს ორთაბრძოლას თვალ-ყურს ადევნებდა. თურმე, მოსეირეთ ჰგონებიათ, ორი ოლიმპიელი, ორი მძლეოსანი ეპაექრება ერთმანეთსო. ჟურნალისტს ყველგან და ყოველთვის უნდა ელოდო, ჰოდა, მომიახლოვდა პოლონური ჟურნალის გაოცებისგან თვალებგაფართოებული თანამშრომელი და თქვენი საუკეთესო შედეგიო, მკითხა. აკვრაში ჯერჯერობით 150 კილოგრამს ვწევ, სამჭიდში — 395-მეთქი, ვუპასუხე.

### ... ყველაფერი კი ქუთაისური „რეკორდით“ დაიწყო

დიტო შანიძემ წყვილი ოლიმპიური ვერცხლის მედლის გარდა ორჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონობა: 1969 წელს — აკვრაში, 1973-ში კი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ზედიზედ ექვსჯერ — 1968-74 წლებში საბჭოთა კავშირში იყო პირველი და ეს ერთგვარი რეკორდია, მსგავსი წარმატებისთვის არცერთ ძალოსანს არ მიუღწევია. რეკორდის ხსენებაზე: ბატონმა დიტომ ზეპირად ვერ გაიხსენა, რამდენჯერ იყო საქართველოს და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი. ევროპისა და მსოფლიოს რეკორდებიც არაერთგზის დაუმყარებია. მასვე ეკუთვნის ერთი რეკორდი, რომელსაც ვერასოდეს დაამხობს ვინმე:

1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადამდე მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნები ვარშავაში შეიკრიბნენ. ეს ბოლო ასპარეზობა იყო, სადაც ათლეტებმა 3 მოძრაობაში სცადეს ბედი — აკვრაში, ატაცსა და აჭიმვაში. დიტო შანიძემ სამჭიდში 402,5 კილოგრამი ასწია, ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. რამდენიმე თვეში ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გააუქმა აჭიმვა, 2 მოძრაობა დატოვა და ამ რეკორდსაც დამხობა არ უწერია, ვიდრე აჭიმვა არ დაუბრუნდება ძალოსნობას. ეს კი, მერწმუნეთ, არასდროს მოხდება.

სპორტულ სარბიელზე დიტო შანიძე შეუპოვრობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა, სხვაგვარად ასეთ წარმატებებს ვერც მიაღწევდა. ეს სიმტკიცე და შეუპოვრობა კი ბავშობიდან მოსდევს. ქუთაისში დაიბადა, გაიზარდა, და 24 წლისა ისე გახდა, სპორტსმენობაზე არც უფიქრია — ძალზე ტანმორჩილი იყო და არ ეგულებოდა სახეობა სპორტისა, სადაც ივარგებდა. მუშაობა დაიწყო ქარხანაში, მუშის უშფოთველი, უდრტვინველი ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთ დღესაც მივიდა ქარხანაში და...

— ... მივედი და ასეთი სურათი დამხვდა: ჩემი ორი თანამშრომელი ქარხნის ეზოში ერთ დიდ კასრს ეჯაჯგურებოდა და მანქანის ძარაზე მის შეგდებას ცდილობდა, კაი ხანს გაგრძელდა კასრისა და ბიჭების ჭიდილი, მაგრამ „გაჯიუტდა“ კასრი, არ დაემორჩილა ბიჭებს. ბოლოს მივედი, მეც მოგეშველებით-მეთქი. კუმ ფეხი გამოყოო, მომაძახეს და დასასვენებლად ჩამოსხდნენ. მარტომ ავწიე კასრი და ძარაზე მოვისროლე. გაოცდნენ. ჩემი მეგობარი სულიკო სულაქველიძე შეესწრო ამ ამბავს, არ მომეშვა, წამოდი ძალოსნობის დარბაზში, კარგი მონაცემები გაქვსო. გავყევი და პირველ დღესვე 90 კილოგრამი ავწიე. მწვრთნელმა ბონდო კუჭუხიძემაც აღარ გამომიშვა და ასე მოვხვდი ძალოსნობაში. 1961 წელს იყო ეს ამბავი. მოკლედ, ის კასრი რომ არა, ალბათ, ქარხანას შემოვრჩებოდი...



### რატომ ქომაგობდნენ ესპანელები დიტო შანიძეს?

კურიოზებით სავსე იყო და არის დიტო შანიძის ცხოვრება. ზოგჯერ თავად იგონებს ათასგვარ სამხიარულო ამბავს, ზოგჯერ მათი მონაწილეა და ხშირად მომსწრე. ერთხელ, საბათ დღეს, თავისი მეგობარი ზურაბ კუჭავა, ჩაჰალსტუხებული და სამეჯვარეოდ გამზადებული კაცი, წალკაში მწყერზე სანადიროდ წაიყვანა და ნეფე და ქორწილი უმეჯვაროდ დატოვა. თითქმის ყველა მეგობარი მასზე ორი თავით მაღალია, მათ შორის — ძალოსნები ლეონიდ ჟაბოტინსკი, დიმიტრი ბატიშჩევი, დავით რიგერტი. ეს ფაქტიც არაერთხელ გამხდარა მხიარული თავგადასავლების მიზეზი, მაგრამ ბატონი დიტო ყველაზე დიდი სიამოვნებით მაინც ესპანეთში თავს გადამხდარ ამბავს იგონებს. ჩვენც მოვიგონოთ:

1973 წელს ესპანეთში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა. დიტო შანიძეს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ერთ-ერთმა ქართველმა მეგობარმა დაურეკა და სთხოვა, ჩემი ძმა ესპანელია, მადრიდში ცხოვრობს, რომ ჩახვალ, მომიკითხე, იქნება მოინახულო კიდეც და ამბავი ჩამომიტანეო. ქართველი და ესპანელი როგორ იყვნენ და-ძმანი, ამას ახლავე მოგახსენებთ: 1937 წელს ფრანკოს ფაშისტურ რეჟიმს ბევრი ესპანელი გაექცა და არაერთმა საბჭოთა კავშირს შეაფარა თავი. ზოგი მათგანი საქართველომაც შეიფარა. ესპანელი გოგო-ბიჭები ქართულ ოჯახებში იზრდებოდნენ და ჩვენებური ხასიათი მოგეხსენებათ — ჩვენს საკუთარ ოჯახში ერთლამენათევე კაცს ძმად ვუხმობთ და წლობით თანმზრდილ გოგო-ბიჭებს რა დააშორებს ერთმანეთს. შანიძემაც დაუზარელად შეუსრულა მეგობარს თხოვნა, დაურეკა ვინმე ლუის ფილიპეს და შეხვდა კიდეც. ქართულ ტრადიციებზე ჭაბუკობამოლეულმა ესპანელმა მყისვე პურმარილი შესთავაზა ბატონ დიტოს, მაგრამ უარი მიიღო, ევროპელ ძალოსანთა ფიცარნაგი უხმობდა ქართველ ათლეტს და იქ ღირსეულად უნდა წარმდგარიყო, აბა, რა ექეიფებოდა. ასე დასცილდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს, მადრიდის ძალოსანთა დარბაზში, დიტო შანიძეს თითქმის ნახევარი დარბაზი ქომაგობდა. ფილიპეს ესპანეთში მცხოვრები ყველა ქართველი და სომეხი ემიგრანტი დაეპატიჟებინა შეჯიბრებაზე ბატონი დიტო, მოგეხსენებათ, შავგვრემანია, ესპანელებმაც, რაკი დაინახეს, ნახევარი დარბაზი შავგვრემან სპორტსმენს გულშემატკივრობდა, იფიქრეს, ეს კაცი, მართალია, საბჭოელია, მაგრამ ეტყობა, ან ესპანური წარმოშობისაა, ანდა სწორედ ფრანკოს დროს გაქცეული და რუსეთა ქვეყანას შერჩენილი ემიგრანტიო. ჰოდა, მიბაძა ამ ნახევარმა დარბაზმა იმ ნახევარს და ბოლოს, როდესაც ქართველი ძალოსანი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მთელი დარბაზი ერთხმად შეიფობრა „ესპანური წარმოშობისა და თუ ესპანელ ემიგრანტ შანიძის“ გამარჯვებას. აბა, ვინ მოიფიქრებდა, საბჭოელი ემიგრანტები თავისიანს გულშემატკივრობდნენ და ესპანელებიც შეაცდინეს.

### „მარტოხელა“ მამა, მეუღლე და ბაბუა

გულახდილი კაცია დიტო შანიძე. მეორედ შევხვდი და ორივეჯერ გულღიად, დაუფარავად მიამბო თავისი ცხოვრების ავ-კარგზე. არ ჰგავს ზოგიერთ ყოფილ თუ ამჟამინდელ სპორტსმენს, თითო-ოროლა დალეჭილ სიტყვას რომ გამოვიგდებს, აქაოდა, ჟურნალისტთან ყველაფრის თქმა არ შეიძლებაო. მეგობრებიც, კოლეგებიცა და მეზობლებიც ასეთად იცნობენ და ამიტომაც ყველას უყვარს, ყველა თავსევლება. კიდევ ერთი თვისება მომეწონა მის ხასიათში: ზოგიერთი ვეტერანი სპორტსმენივით არ წუწუნებს, ამდენი ტიტულები მაქვს, ამხელა სპორტსმენი ვიყავი და მეტი მეკუთვნოდა, არიქათ, სპორტის მესვეურებო, მომხედეთ, მიჭირსო. არასდროს არავინ შეუწუხებია, მოკრძალებულად ცხოვრობს და კმაყოფილია იმით, რაც გააჩნია. მეგობრების წრეში გალაღებულია. თბილისის ერთ-ერთი სამშობიარო სახლის დირექტორის მოადგილეს კოლეგებიც დიდ პატივს სცემენ და, რაც მთავარი, სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებული თბილი და ლამაზი ოჯახის თავკაცია. ერთადერთი ქალიშვილი ია გერმანიაში სწავლობს, იქვე დაოჯახდა, ბატონი დიტო პატარა ლიკას ბაბუაც გახდა. მისი მეუღლე, ქალბატონი სვეტლანაც ამჟამად გერმანიაშია, ქალიშვილს პატარის ლიკას გაზრდაში ეხმარება. ასე „მიატოვეს“ ბედნიერი ბაბუა ოჯახის წევრებმა და დროებით კვლავ მარტოხელად აქციეს, მაგრამ დიტო შანიძე ისეთი გაკვარანცხი კაცია, არ მოიწყენს და თავისიანების ჩამოსვლამდე იოლად გაიტანს თავს. აქ ვაპირებდი ამ წერილის გასრულებას, მაგრამ იუმორის გარეშე მაინც ჭერ ვახერხებ და ერთ ამბავსაც გიამბობთ: თურმე ბატონმა დიტომ თაფლობის თვის გატარება რუსეთში გადაწყვიტა. ქალბატონ სვეტლანას მამას ივანე ერქვა, ბატონ დიტოს მამაც ივანე გახლდათ. მეუღლე ხელის მოწერისას ხშირად ქმრის გვარს ირჩევს, ასე მოიქცა ქალბატონი სვეტლანაც და დიმიტრი ივანეს ძე შანიძე და სვეტლანა ივანეს ასული შანიძე მოსკოვის ერთ დიდ სასტუმროში აღმოჩნდნენ. ბევრი უმტკიცეს ადმინისტრატორს, და-ძმა კი არა, ცოლ-ქმარი ვართო, მაგრამ ვერაფრით დააჯერეს და კანონიერ ცოლ-ქმარს ერთ ნომერში არ უშვებდნენ. ბოლოს, ისევ ბატონ დიტოს მოხერხებულობის წყალობით გაირკვა ყველაფერი და „და-ძმა“ ერთ ნომერში მოათავსეს.

წეღან მოგახსენეთ, დიტო შანიძე არავის აბეზრებს თავს, არაფერს ითხოვს და თავისთვის, ჩუმად, უპრეტენზიოდ ცხოვრობს, რაც ღმერთმა უბოძა, იმითაც კმაყოფილია. ჰოდა, კაცს, რომელსაც ამხელა დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე, მივიწყება არ ეგების, ხანდახან გულშემატკივრებსაც უნდა შეახსენო მათი ყოფილი კერპი და თბილი სიტყვითაც მოეფერო.

მეც სხვა მიზანი არ მქონია.

**ლევან ჯავახიშვილი**

## რაგბი

# შინ დაბრუნების წინ

ქრისტეშობამდე კვირა-ნახევარი რომ დარჩენილა, ევროპაში სამხრეთ-ნახევარსფეროელთა შესევა მთავრდება — ყველას ხომ შინა სურს დღესასწაულობა. ამიტომაა, რომ ამ უქმეებზე წლის ბოლო სამი დიდი ტესტია: ინგლისი — არგენტინა, შოტლანდია — იტალია და უელსი — სამხრეთი აფრიკა.

ინგლისმა და არგენტინამ 1982 წელს ფოლკლენდის კუნძულების გამო რომ იომეს, ისე დაეუბრნენ ერთმანეთს, რომ რაგბში 1990 წელსღა შეეჯიბრნენ. მაშინ, შემოდგომაზე „პუმები" თვიქნემს ჩაზდნენ და 0:51 წააგეს.

იმდროინდელი შემადგენლობიდან არგენტინელებს დღევანდელი ტესტისთვის სამად-სამი კაცი შემორჩენიათ: მეორეხაზელები ხერმან იანესი და პედრო სპორლედერი და მაშინ 9 ნომერი, აწ კი გარემარბი გონსალო კამარდონი. გუნდის კაპიტანი შუამარბი ლიზანდრო არბისუა.

„პუმები" კარგა ხანია, ინგლისში მოგზაურობენ. შინ აფრიკელ „ქურციკებთან" სერია 0-2 რომ წააგეს, უმალ ბრიტანეთს მიაშურეს და პანტა-პუნტით დაამარცხეს ინგლისის მხარეების ნაკრებები, რომლებიც ერთობ დასუსტებულიყვნენ იმ დავის გამო, ბობოლა კლუბებმა და რაგბის კავშირმა ფულის გაყოფის გამო რომ გამართეს. რაკი ეს უთანხმოება ახლაღა მოგვარდა, კლუბებმა მოთამაშეები არ მიავლინეს კუთხეთა ნაკრებებში.

„პუმებმა" ძლიეს ლონდონი 63:20, სამხრეთ-დასავლეთი 25:17, შიდა ინგლისი 90:24, ჩრდილოეთი 64:14, შეიარაღებული ძალები 52:6, მაგრამ სამშაბათს ნორსჰემფთონში ველარ აჯობეს ინგლისის „ა" (მეორე) ნაკრებს 17:22. ამ თამაშში სტუმრებმა სამი ლელო გაიტანეს და 54-ე წუთზე 17:12 იგებდნენ, მაგრამ დაალალატათ დამრტყმელმა ხოსე სილეიმ, ვინაც 6 დარტყმა გააფუჭა. ტესტში დამრტყმელი გონსალო კეზადა იქნება, მასპინძელთა „ა" ნაკრებმა კი ერთადერთი ლელო 73-ე წუთზეღა გაიტანა, ხოლო დანარჩენი 17 ქულა გუნდს მოუხვეჭა დიდი ნაკრებიდან დაქვეითებულმა 10 ნომერმა პოლ გრეისონმა, ბოლო ხუთი ერის პირველობაზე 81 ქულა რომ მოუპოვა ჩემპიონ ინგლისს.

მასპინძლებს პირველად უკაპიტნებთ 28 წლის ბურჯი ჯეისონ ლენარდი, ვინც 51-ე კეპს მიიღებს. საქმე ისაა, რომ ახალი კაპიტანი, შუამარბი ფილ დეგლენვილი „ზელანდიელ ბარბაროსებთან" წაგებულ თამა-




შში დაშავდა. მას მიემატნენ ტვინ-შერყეულები — მცველი სთიმფსონი და წარმოშობით ნიგერიელი ზანგი გარემარბი ადედაიო ადე-ბაიო. ამათ სამი კვირის მანძილზე რაგბში მონაწილეობა ეკრძალებათ, რისი წყალობითაც დეგლევილის აღზევებით გუნდიდან დათხოვნილ მულატ შუამარბ ჯერი გასქოთს ჯერ გარემარბად დაუპირეს დაყენება, შემდეგ კი შუა მინდორში ექს-კაპიტან ვილ ქარლინგს შეუწყვილეს. ამათ ხომ ერთად 43 ტესტი აქვთ ნათამაშევი, რაც მსოფლიო რეკორდია!

მარიფილდშიც საზობაო განწყობილება იქნება. ჭერჭერობით გოიმ იტალიასთან თამაშის საცქერლად რომ მიიზიდონ ხალხი, საზრიანი შოტლანდიელები სანტა-კლაუსს ვერტმფრენით შეაფრენენ სტადიონზე, ეს კი მორაგბეებს ძლვნად ბურთს მიართმევს.

იტალიამ ნოემბერში ინგლისთან 21:54 რომ წააგო, მისმა ფრანგმა მწვრთნელმა ჟორჟ კოსტმა დაითხოვა ფლანკერი კორადო კოვი, ვისაც ნაკრებში ხუთი წელი არ ეთამაშა; სამაგიეროდ, დააბრუნა 30 წლის გარემარბი მარჩელო კუტიტა, ვინაც იმის გამო გაბუტულიყო, რომ შარშანდელ მსოფლიო თასზე ინგლისთან არ დააყენეს.

შოტლანდიელებმა დაიბრუნეს მეორეხაზელი „ლომი" ენდი რიიდი და ბებერი შუამარბი სქოთ ჰეისთინგსი, იტალიელებს კი შინ კინაღამ კაცი მოუკვდათ.

საქმე ასე ყოფილა: კვირას, „როვიგო" — „ამატორი კატანიას" მატჩის მესამე წუთზე კისრის ისეთი ტრავმა მიიღო სიცილიელთა 17 წლის კვაჭმა მასიმილიანო სიკალიმ, რომ იქვე ცალი ხელ-ფეხი წაერთვა, მაგრამ მისდა ბედად სამსაათიანმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ბიჭიც დაკუტებას გადაურჩა.

ამას მთელს იტალიურ რაგბში დიდი რეზონანსი მოყვა. საძმო ერთხმად მოითხოვს, სერია „ა"-ში სათამაშოდ ასაკის ქვედა ზღვარი — 20 წელი უნდა დავაწესოთო. მსაჯმაც დაადასტურა, კვაჭი უფროსი და უფრო გამოცდილი რომ ყოფილიყო, ასეთი მარცხი არ მოუვიდოდაო.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ თვიქნემში 115-ე საუნივერსიტეტო მატჩი გაიმართა. ქემბრიჯმა 72 ათასი მოპიკნიკე სტუდენტ-მასწავლებლის თვალწინ საკმაოდ უსახურ თამაშში 23 (13) (2ლ, 2გ, 2ს, ა) : 7 (7) (ლ, გ) დაამარცხა ოქსფორდი და ზედიზედ მესამედ მოიპოვა გარდამავალი ბოურინგის თასი.

მატჩის წინ საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ოქტომბერში „სერეზინზთან" თამაშისას დაღუპული ოქსფორდის ავსტრალიელი შუამარბი იენ თაქერის ხსოვნას. ამ მოთამაშის ახლობელთა ხათრით ოქსფორდელებს 12 ნომერი კვართი არავისთვის ჩაეცმიათ.

თითქო ბედის ირონია არისო, ოქსფორდის სამხრეთაფრიკელ კაპიტან კვენტინ დებრიუნს თავი ეტკინა და მოედნიდან საკაცით გაასვენეს, მაგრამ მერე გონს მოვიდა და თამაშს ბოლომდე უყურა, იმავე „სერეზინზის" ქემბრიჯელმა შუამარბმა მეთიუ ზინგერმა კი ის ორი ლელო და არეკნიც გაუტანა ოქსფორდს.

პირველი დივიზიონის ლონდონური კლუბი „სერეზინზი" ახალ ამბებში კიდევ იმით გაერია, რომ მსოფლიოს უპირველესი მელელოვე, 34 წლის ავსტრალიელი დევიდ ქემფიზი, შაბათს საბოლოოდ რომ გააცილეს ნაკრებიდან, თურმე მასში გადასვლას ფიქრობს. „კამპოსთან" უკვე უსაუბრია „სერეზინზის" მეპატრონეს, მულტი-მილიონერ ნაიჯელ რეის, მაგრამ ჯერ ვერ დაუყოლიებია, რადგანაც ქემფიზი თურმე მაინც ვერ ელევა მშობლიურ სიდნეის და გაისადაც აპირებს ზე-12-ში თამაშს ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზის" შემადგენლობაში.

„სერეზინზმა" ავსტრალიელი ლაინაფისა და ფრანგი სელას კვალად ამ ათი დღის წინ თვით სამხრეთი აფრიკის ყოფილი კაპიტანი, ფრანსუა პინარი გადაიბირა, რაკი ეს ნაკრებიდან დაითხოვეს. პინარი ნაშობავებს ჩაებმება ინგლისის ჩემპიონატში და თურმე ისიც უთქვამს, რაკი „ქურციკად" აღარ მიხმობენ, მომავალში ეგებ ინგლისის ნაკრებში ვითამაშოო.

ამჟამად მოქმედი წესებით სხვა ქვეყნის ნაკრებში გამოსვლა შენისას თავის მინებებიდან სამი წლის შემდეგ შეგეძლება. პინარს ეს კარგად მოეხსენება, მაგრამ იმედი ჰქონია, რომ მსოფლიო რაგბის უპრინციპო მამები ამ კანონსაც მალე შეარბილებენ.

პინარს მიყვა მსოფლიო თასის ფინალში გადამწყვეტი გოლების გამტანი 10 ნომერი ჯოელ სტრანსკიც, რომელიც სეზონის ბოლოს არათუ „ქურციკებში", მშობლიური ქეიფთაუნის დასავლეთ კონცხშიც კი ველარ ხვდებოდა. ჯოელი წინა კვირაში ინგლისს „ბარბაროსების" მიწვევით ჩავიდა, ხუთშაბათს კი „ლესთერთან" გააფორმა ორ-ნახევარწლიანი კონტრაქტი, რომლითაც 300 ათასი გირვანქა ერგება.

„ლესთერმა" პირობა დადო, რომ სტრანსკის ნაკრებში პირველი დაძახებისთანავე გაუშვებს. ბომბარდირი ნაახალწლევს ვერ ითამაშებს ევროპის თასის ნახევარფინალს, რომელშიც „ლესთერი" საფრანგეთის „ტულუზს" უმასპინძლებს.

შიდა ინგლისის კლუბში ჯოელს დაუხვდა ავსტრალიელი მწვრთნელი ბობ დვაიერი, „ვოლაბებს" 1991 წელს რომ მოაგებინა მსოფლიო თასი, ახლა კი შური მიძალებია და ავსტრალიის. ნაკრების ახლანდელ მოძღვარ გრეგ სმითს სულ მთლად უბიაბურებს „კელტურ დიდ სლემს" — ავსტრალიელებმა ახლახანს ხომ დაუმარცხებლად მოვლეს ბრიტანეთი და შოტლანდიას, ირლანდიასა და უელსს მოუგეს.

დასასრულ, უელსი — სამხრეთი აფრიკის გამოც. უელსელებს წინა 9 შეხვედრისას ვერასოდეს დაუმარცხებიათ „ქურციკები" და ალბათ ვერც ამჯერად გატეხენ ნავსს, მით უფრო, თუ მსოფლიო ჩემპიონებმა ამ შემოდგომაზე არგენტინასა და საფრანგეთს სტუმრად 2-0 მოუგეს ტესტ-სერიები და ზედიზედ მეხუთე ტესტია, ერთი და იმავე შემადგენლობით თამაშობენ.

აფრიკელთა 8 ნომერ კაპიტან გარი ტაიხმანსა და მეორეხაზელ მარკ ენდრიუზს მორჩენიათ ფრანგების ძლევისას დაბეჟილი ნეკნები, ფლანკერ რუბენ კრუგერს კი დაშავებული მუხლი მოშუშებია. ოდენ კვაჭ ჯეიმზ დოლტონს არ უვარგიშია ოთხშაბათს, რაკი მხარი კიდევ ტკიოდა.

უელსის 10 ნომრად კვლავ ითამაშებს ლიგიდან დაბრუნებული 34 წლის ჯადოქარი ჯონათან დევისი. მის მიერ XV-დან ამოგდებულ 25 წლის ბომბარდირ ნილ ჯენქინსს მწვრთნელებმა ადგილი მცველად გამოუნახეს. შტატიან 10 ნომერ ნილს აქამდე 45 კეპი მოუხვეჭია, მათგან რვა — შუამარბად, ორი კი — მცველად, და ტესტებში 483 ქულა მოუგროვებია.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## ჩოგბურთი

# სანატრელი ფინალი

ხვალ ჩენაიში (ყოფილ მადრასში) ბალახის ჰოკეის XVIII ჩემპიონთა თასის ფინალებია. სულ მთავარში, თასის ახალ მფლობელს რომ გამოავლენს, ოლიმპიური ჩემპიონი ჰოლანდია ეთამაშება მსოფლიოს ჩემპიონ პაკისტანს. ამ თამაშის პირდაპირი გადმოცემა „აიეტი თი-ვის" 33-ე არხით — ESPN-ით ჩვენი დროით დღის სამ საათზე დაიწყება.

IV ტური: 11. XII. ინდოეთი — ავსტრალია 3:1; 12. XII. ჰოლანდია — ესპანეთი 4:0, პაკისტანი — გერმანია 4:2

V ტური: 13. XII. ავსტრალია — ჰოლანდია 1:1, გერმანია — ესპანეთი 4:3, პაკისტანი — ინდოეთი 3:2

აზიელებმა შეჯიბრი წაგებით დაიწყეს, მაგრამ მეორე ფინალისტი უკვე მათმა მატჩმა გამოავლინა. პირველმა კი სათასო ფინალში თამაში დაიბევა ჰოლანდიამ, რომელსაც ატლანტის შემდეგ აღარა ჰყავს დამსახურებული ვეტერანები — მარკ დელისენი, ფლორის-იან ბოველანდერი და ტაკო ფანდერჰორსტი.

გერმანია დაღუპა ექსპერიმენტმა — პაკისტანთან ათამაშა სათადარიგო მეკარე ნილს კოვალჩეკი, ვისაც ორი ბურთი წვივსაცავებს შუა გაუძვრა. და მაინც, თასის მფლობელებს ფინალში მოხვედრა შეეძლოთ, თუკი ინდოეთი — პაკისტანის ბოლო მატჩი ფრედ დამთავრდებოდა.

გუშინდელმა ამ თამაშმა მთელი ტურნირი დაამშვენა. ინდოეთმა 14 საჯარიმო კუთხური მოაწოდა და ბოლოს მაგრადაც მიეძალა მეზობელს, მაგრამ ვერაფერს გახდა და კვირას მესამე ადგილს თუღა შეეცილება გერმანიას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10: 3 | 11 |
| პაკისტანი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:10 | 10 |
| გერმანია | 5 | 3 | 0 | 2 | 12:11 | 9 |
| ინდოეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 10: 7 | 7 |
| ავსტრალია | 5 | 0 | 2 | 3 | 6:12 | 2 |
| ესპანეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:14 | 2 |

## გულახდილობა დაუფასდა

1 დეკემბერს შიდსის გაფრთხილების საერთაშორისო დღე რომ იყო, ლას-ვეგასის „პლანეტ ჰოლივუდში" გამართულ პრეზენტაციაზე სიგელი გადასცეს ლეგენდარულ



ამერიკელ წყალში მხტომელ გრეგ ლუგანისს, რომელსაც ვაჟკაცურად უღიარებია, მამათ-მავალი ვარო და ამით წვლილი შეუტანია შიდსის პროფილაქტიკაში.

ასოშიეითიდ პრეს-ის ფოტო

## აის-ჰოკეი

### ეროვნულ ლიგაში

11 .XII. ჰარტფორდი — ფლორიდა 5:2, მონრეალი — ბუფალო 2:3, რეინჯერზი — აილენდერზი 3:5, დალასი — სენტ-ლუისი 5:5, ვანკუვერი — კოლორადო 1:6, სან-ხოსე — ვაშინგტონი 3:2, ანაჰაიმი — პიტსბურგი 3:7

ჰარტფორდისა და ფლორიდას შეხვედრაში სტუმრებმა თავიდან მეტად იაქტიურეს და მეორე პერიოდში ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ ბოლოს, მას შემდეგ, რაც ექს-დეტროიტელმა პრიმომ (2+0; 10) „პანთერების" კართან შტურმი წამოიწყო, ფლორიდის დაცვა მთლიანად მოიშალა. მასპინძლებმა კიდევ სამი შეაგდეს. ბოლო ორში სხვა ექს-დეტროიტელი — კოფი (1+1; 3) მონაწილეობდა. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა სეზონში პირველად წააგო დიდი ანგარიშით.

ამით ისარგებლა მდევარმა კოლორადომ. მან ამჯერადაც გაანადგურა ვანკუვერი (3 მატჩში 19 შაიბა შეუგდო). კოლორადოს ლიდერებმა არც ახლა შეირცხვინეს თავი: საკიკმა (1+1; 13) პირველ პერიოდში, ხოლო ფორსბერგმა (0+3) მეორე-

ლი ნომერ ბერარდს ისეთი პირი უჩანს, რომ საუკეთესო დებიუტანტის სარგო პრიზის მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ბომბარდირების თემას აღარ გადავუხვევთ და ვიტყვით, რომ მათი დავა შარშანდელს ემსგავსება. უხეირო სტარტის შემდეგ დაიბრუნეს ჩვეული ფორმა პიტსბურგის ლიდერებმა ლემიემ, იაგრმა და ფრენსიზმა (1995-96 წლების პირველმა, მეორე და მეოთხე ბომბარდირებმა). ანაჰაიმთან შეხვედრაში ლემიემ (2+1; 15) სოლო შეასრულა, პარტნიორებმა კი ასისტენტობა გაუწიეს (2-2 პასი). ამას ნედველის ორი შაიბა (15) დაემატა, ანაჰაიმელი სელიანე (17 მატჩიდან მხოლოდ ერთი უშედეგო) და კარია (1+1; 10) კი მხოლოდ რიცხვმრავლობაში ვარგოდნენ. პიტსბურგელი „პინგვინების" სუპერ-ტრიომ ბოლო 9 თამაშში (7 მოგება,2 ფრე) 45 (23+22) ქულა მოიპოვა!

1995 წლის სთენლის თასის ფინალისტებმა — ნიუ-ჯერზიმ და დეტროიტმა ორ-ორი ქულა მიითვალეს. დეტროიტმა კვლავ დაიბრუნა დივიზიონის პირველობა. მასპინძლებისათვის უხეირო პირველი პერიოდის შემდეგ, როდესაც ჟამნოვმა (6) და მილერმა ჩიკაგო დააწინაურეს, დეტროიტი მთელი ძალით ათამაშდა და მეტოქე 6 შაიბით დასაჯა. აიზერმანთან (1+1; 10) და შენაჰანთან (1+2; 16) კვლავ შეკავშირებულმა რუსებმა სამი გოლი მოაწყეს.

ნიუ-ჯერზი უჩვეულოდ აგრესიულად ეთამაშა მობერებულ ბოსტონელებს და ყოველ პერიოდში თითო შაიბით მეტი შეუგდო. გუნდის სნაიპერები: ვეტერანი მაკლინი (2+1; 11) და ანდრეიჩუკი (1+2; 10), გასცდნენ 10-შაიბიან ზღვარს. ბოსტონელთა სლოვაკმა შტუმპელმა 4 პასი გააკეთა.

აუტსაიდერი ტამპა ორი მოგების შემდეგ დაუზავდა ედმონტონს. ტამპელთა ბედის გამზიარებელმა კალგარიმ იოლად ძლია თანა-დივიზიონელ ლოს-ანჯელესს. სეზონის კიდევ ერთმა აღმოჩენამ — აიჯინლამ 2 (1-1) ქულა დააგროვა.

# ვინ ალაგმავს პინგვინთა სუპერ-ტრიოს?

ში ხუთი შაიბა მოაწყვეს, ლატვიელმა ოზოლინშმა (1+1; 9) კი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გაზარდა გოლთა მარაგი. ვანკუვერმა მოგილნის არყოფნაში იმითღა გამოიჩინა თავი, რომ გვარიანად იჩხუბა.

კიდევ ერთმა ლიდერმა — დალასმა ერთობ უხეიროდ დაიწყო მატჩი სენტ-ლუისთან. მცველი მაკინისის (8) ჰეთ-თრიქის შემდეგ (პირველი შემთხვევაა სეზონში!) 0:4 აგებდა. ახლა დალასი კვლავ გაუტოლდა დეტროიტს. სენტ-ლუისმა პირველად გაიყო ქულა და მხოლოდ ტორონტოს დარჩა „0" ფრეთა გრაფაში.

ნიუ-იორკულ დერბიში ყველაფერი 18 წუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როდესაც „აილენდერზის" ლიდერმა: პალფი — სმოლინსკი — ნ. ანდერსონის ახალმა სამეულმა ახალბედა მცველი ბერარდის (1+1; 4) ხელშეწყობით ხუთი უპასუხო შაიბა შეაგდო. პალფი (2+1; 20) სნაიპერები მეორე ადგილზე მყოფ ჩიკაგოელ ამონტეს დაეწია, ხოლო 1995 წლის დრაფტის პირვე-

ვაშინგტონს გადამწყვეტი გოლი სან-ხოსელმა გრენატომ (10) შეუგდო, მონრეალს კი — ბუფალოელმა უორდმა (4). დამარცხებულებს აკლდნენ ლიდერები: კანადელებს — კოივუ, ვაშინგტონელებს — ბონდრა. ვაშინგტონს რვა ძირითადი მოთამაშე დაუშავდა და მძიმე პერიოდს განიცდის.

12. XII. ბოსტონი — ნიუ-ჯერზი 4:7, დეტროიტი — ჩიკაგო 6:2, ფილადელფია — ჰარტფორდი 3:2, ტამპა — ედმონტონი 2:2, ლოს-ანჯელესი — კალგარი 1:5

ფლორიდასთან გადატანილი ბრძოლის შემდეგ ჰარტფორდი არანაკლებ მრისხანე მეტოქეს — ფილადელფიას შეხვდა და წააგო. გამოირჩა მასპინძელთა კაპიტანი ლინდროსი, ვინაც ჯერ დააწინაურა თავისიანები, შემდეგ კი გადამწყვეტი გოლი გაატანინა ლეკლერს (17). „მფრინავებმა" უკვე მეექვსე მატჩი ჩაატარეს წაუგებლად, ბოლო სამში კი ლიდერებს — დალასს, ფლორიდასა და ჰარტფორდს გაუსწორდნენ.

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 42 (29+13), ფორსბერგი (კოლორადო) 42 (12+30), ლემიე (პიტსბურგი) 41 (15+26), გრეცკი (რეინჯერზი) 41 (13+28), სელიანე (ანაჰაიმი) 40 (17+23), სუნდინი (ტორონტო) 39 (17+22), საკიკი (კოლორადო) 39 (13+26), კოივუ (მონრეალი) 38 (13+25), აიზერმანი (დეტროიტი) 38 (10+28), პალფი (აილენდერზი) 36 (20+16)

დებიუტანტები: სმიტი (ედმონტონი) 25 (14+11), კემპბელი (სენტ-ლუისი) 23 (11+12), აიჯინლა (კალგარი) 22 (11+11), ბერარდი (აილენდერზი) 21 (4+17), იორკი (სენტ-ლუისი) 18 (8+10), მიურეი (ედმონტონი) 16 (7+9), ბერეზინი (ტორონტო) და ლანგებრუნერი (დალასი) 14 (8+6)

ლიდერები: აღმოსავლეთი: ფლორიდა 41 ქულა (30 მატჩში), ფილადელფია 36 (31), ჰარტფორდი 34 (28), ნიუ-ჯერზი 33 (28)

დასავლეთი: კოლორადო 40 (30), დეტროიტი 37 (30), დალასი 35 (29), სენტ-ლუისი 31 (30), ვანკუვერი 29 (28)

სამველ ღარიბიანი

## გერმანული დუბლი

ხუთშაბათს სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის პირველი ევროპული ეტაპი გაიმართა — ვალდიზერში (სავოია, საფრანგეთი) ქალებმა სუპერ-გიგანტში სცადეს ძალა.

მზიან დარში, ერთობ სწრაფ ტრასაზე, გაიმარჯვა 21 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა გერგმა, ვისაც მეტსახელად „ველური ჰილდე" ჰქვია. მასთან 0,39 წამი წააგო მსოფლიო თასის ლიდერმა ზაიცინგერმა, ამას კი 0,18-ით ჩამორჩა მსოფლიო ჩემპიონი კოსტნერი. მეოთხე შედეგი გეჰლს აღმოაჩნდა, მეხუთე — მარტინა ერთლს (გერმანია).

შეჯიბრის დაწყებამდე მცირე დრამა დატრიალდა: ტრასის მეკვლე, ფრანგი ჟენი ვალიე ზედ ფინიშთან ბორცვზე რომ შეხტა, დაეცა და ერთბაშად სამი ფოტოგრაფი დაამტვრია, თავად კი ფილტვიც კი დაიშავა. ყველაზე მეტად დაზარალდა „ასოშიეითიდ პრესის" იტალიელი თანამშრომელი სტეფანო რალენდინი, ვისაც მარცხენა ფეხი მოტყდა.

გუშინდელი გიგანტური სლალომის წინ ქალთა ჯამურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობა იყო: კატია ზაიცინგერი (გერმანია) 494 ქულა; პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 382; ჰილდე გერგი (გერმანია) 376; იზოლდე კოსტნერი (იტალია) 217; რენატე გეჰლი (ავსტრია) 196; ანიტა ვახტერი (გერმანია) 193; –

ვასილ გუჩმაზაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29-